# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი-კვირა, 17-19 დეკემბერი. 2021 წ. №214 (9333) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


## საქართველოს ერთიანობის ხელყოფა არავის ეპატიება! ③

### სააკაშვილის გვერდით, სულ მცირე, 20 დამნაშავე უნდა იჯდეს!



## თხაბა ერდის ტკივილი ⑥



### ინგუშეთში რუსები ქართულ ძეგლებს ანადგურებენ!!!

## ...9 წელი შეშლილი ④ მართავდა ქვეყანას თუ ავანტიურისტი?!

### აფხაზი ვეტერანები:

## ჩვენ არათუ ვთავაზობთ ხელისუფლებას, არამედ უკვე მოვითხოვთ ⑧ საქართველოსთან ვაჭრობის დაკანონებას!

### გრიგოლ შონია:

## ღალატის დაბრალება ბოროტებაა! ④

### დავით ზალკალიანი:

## სიცრუეა ეს ყველაფერი!



**ბრიუსელის სამიტზე 27 ქვეყნის ლიდერი გამოვიდა და მისი არც სახელი და არც გვარი ნახსენები არ ყოფილა**, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ბრიუსელში მიხეილ სააკაშვილზე ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხად განაცხადა.

**„რამდენი მინისტერიალი, მაღალი დონის შეხვედრა, სამიტი გამოვიარეთ და მსგავსი მსჯელობა არსად ყოფილა. ჩვენი ოპონენტები საკუთარ თავს იტყუებენ. ჩვენს მოქალაქეებს ხომ ატყუებენ და ატყუებენ, რომ თითქოს ერთი ადამიანის გარშემო ტრიალებს მთელი მსოფლიო. სიცრუეა ეს ყველაფერი“,** — განაცხადა დავით ზალკალიანმა.



## თავისი მოკლე ჭკუით, გიული ყველას გვატყუებს...

**სააკაშვილის დედის გიული ალასანიას გუშინდელი განცხადებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილის ფსიქორეაბილიტაციის პროცესი საქართველოში სათანადოდ ვერ ხერხდება.** მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ მას რეაბილიტაციისთვის უცხოეთში გადაიყვანენ.



**„მეჩვენება და მაქვს შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში ამას ვერ ახერხებენ და ძალიან კარგი იქნება, რომ სააკაშვილს მიეცეს საშუალება, გავიდეს და მოთავსდეს ისეთ კლინიკაში, სადაც ამის გამოცდილება აქვთ. ჯანმრთელობის კუთხით, რასაც ვხედავ, უარყოფითი დინამიკა შეინიშნება. წონა აქვს დაკლებული. ამითაა ჩემი მოთხოვნა გამოწვეული“,** — განაცხადა გიული ალასანიამ. გორის ჰოსპიტალში სააკაშვილის მონახულებამდე გიული ალასანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას საქართველოში ჩამოსვლაზეც გააკეთა კომენტარი.

**„მრავალი წელია, აქ არ ყოფილა. ჩამოვიდა, მოენატრა აქაურობა. გარდა ამისა, ჩამოვიდა, რათა მხარი დამიჭიროს. რა თქმა უნდა, სურს შესვლა, მაგრამ დეტალები არ ვიცი“...**



## ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთელი 11 იანვრამდე „იქეიფებენ“

**ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე სასამართლო პროცესი 11 იანვარს მხარეების რეპლიკებით განახლდება.** პროცესის გადადება ბრალდების მხარემ სწორედ რეპლიკების მოსამზადებლად მოითხოვა.

**„დაცვის მხარემ ვინაიდან წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა, რომელიც წარმოადგენს 20 გვერდს, გთხოვთ, მოგვცეთ დრო, რომ წარმოვადგინოთ არგუმენტები მათ დასკვნით სიტყვაზე რეპლიკების სახით“,** — განაცხადა პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმა.

**ადვოკატმა ზვიად კორძაძემ კი განაცხადა, რომ პროკურატურა, რომელიც თავქუდმოგლეჯილი ჩქარობდა, ახლა გადადებას ითხოვს. ამასთან, პროცესზე ავთანდილ წერეთელმა პროკურორებს მიმართა, რატომ სურდათ მათ სხდომის გადადება თუ მართლები არიან?.. საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმის განხილვა 11 იანვარს, 11 საათზე გაგრძელდება.**

# რუსეთს ნებისმიერი აგრესია ძალიან ძვირი დაუჯდება!




საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ერთობლივი განცხადებები

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

დიდი მადლობა, ბატონო გენერალურო მდივანო, მადლობას გიხდით დღეს ნატოს სათავო დაწესებულებაში ჩემი მასპინძლობისთვის. ნატო-საქართველოს დინამიკური ურთიერთობების, სრულყოფილი დღის წესრიგის და, რა თქმა უნდა, ჩვეული ინტეგრაციის გზის განხილვა ყოველთვის დიდი პატივია.

ჩვენ ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა რეგიონში, ქვეყანაში, ვისაუბრეთ არსებულ მოვლენებზე, რუსეთის მიმდინარე ოკუპაციაზე. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ნატოს წევრობა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობა. ალიანსთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საბოლოო ჯამშიც ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მკაფიო ხედვის შესამუშავებლად. გაწევრიანებისთვის ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გაგვაჩნია და აქტიურ დიალოგს ვაწარმოებთ მოკავშირეებთან, რათა პოლიტიკური გადაწყვეტილება მომზადდეს ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მინდა ყველას გაგახსენოთ, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდებოდა. მაშინ ეს ძალიან ძლიერი გზავნილი იყო და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. სწორედ ამიტომ გულდასმით ვშრომობთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციაზე. საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის სუვერენული უფლება ყველა სახელმწიფოს გააჩნია. ეს გადაწყვეტილება ის ქვაკუთხედია, რომელსაც ნატოში საქართველოს გაწევრიანების პროცესი ეფუძნება. გვჯერა, რომ ამ არჩევანის წარმატებული განხორციელება ისევე აქტუალურია ნატოსთვის, როგორც საქართველოსთვის.

პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში ხელშესახებ შედეგებს მივაღწიეთ ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტის წარმატებით განხორციელების შედეგად. ადგილზე ნატოს საქმიანობის მასშტაბიც იზრდება. ეს წარმატება შეუძლებელი იქნებოდა ნატოს წევრი სახელმწიფოების აქტიური ჩართულობის გარეშე. შესაბამისად, თქვენ და მოკავშირეებს მადლობას გიხდით ძალისხმევისა და ერთგულებისთვის.

ნატოსთან ჩვენი პრაქტიკული თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე პარტნიორობის ფარგლებში. გამოაშკარავდა, რომ უსაფრთხო და სტაბილური შავი ზღვის რეგიონის გარეშე ევროატლანტიკური უსაფრთხოება ვერ შედგება. შავი ზღვის მდგრადი უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია ევროატლანტიკური უსაფრთხოების მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. ჩვენ მივესალმებით ნატოს აქტიურობის ზრდას შავ ზღვაზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მხრივ. ასევე მივესალმებით ნატოს გადაწყვეტილებას თავისი სტრატეგიული კონცეფციის განახლებასთან დაკავშირებით. ჩვენ გვჯერა, რომ ღია კარის პოლიტიკა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის საკითხები სათანადოდ აისახება ამ დოკუმენტში. მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და მადლობა მოვახსენო მოკავშირეებს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და არაღიარების პოლიტიკის მტკიცე მხარდაჭერისთვის, რასაც ქართველი ხალხი დიდად აფასებს და უფრთხილდება.

მადლობას ვუხდი გენერალურ მდივანს პირადი ძალისხმევისთვისა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს წინსვლაში არსებითი როლის შესრულებისთვის. საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ გვჯერა, რომ დადგა ჩვენი ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების და კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დრო. ეს იქნება მკაფიო გზავნილი ყველა ასპირანტი ქვეყნისთვის, რომ მიზანდასახულობას, ერთგულებას და დაუღალავ შრომას რეალური შედეგები მოაქვს. ეს იქნება ძლიერი გზავნილი, რომლის ექოც ფართოდ გადასწვდება მთელს რეგიონს და ყველა დარწმუნდება, რომ ნატო აქ არის და უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე.

## ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი:

საქართველოს პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო ირაკლი, ძალიან გვიხარია თქვენი მასპინძლობა და კიდევ ერთხელ მოგესალმებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სათავო დაწესებულებაში.

ნამდვილად ვაფასებ მჭიდრო პარტნიორობას საქართველოსა და ალიანსს შორის. საქართველო ჩვენი ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია და ამ თვის დასაწყისში რიგაში შეკრებილმა მოკავშირეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ვაგრძელებთ რუსეთისთვის მოწოდებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების აღიარების დასრულებისკენ და ამ ტერიტორიებიდან საკუთარი ძალების გაყვანისკენ.

დღეს განვიხილეთ რეგიონში არსებული უსაფრთხოების საკითხები, მათ შორის რუსეთის სამხედრო ძალების მატება უკრაინის შიგნით და ირგვლივ. საუბარი გვქონდა ასევე რუსეთის მხრიდან შავი ზღვის რეგიონში დესტაბილიზაციისკენ მიმართულ ქმედებებზე.

ვთანხმდებით, რომ არსებობს ფხიზლად ყოფნისა და ესკალაციის თავიდან აცილების აუცილებლობა. რუსეთის მხრიდან ნებისმიერი შემდგომი აგრესია მას ხრუსეთსჯ ძვირი დაუჯდება და სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები ექნება.

საქართველოსა და უკრაინას აქვთ უფლება თავად აირჩიონ თავიანთი მოკავშირეები, ხოლო რუსეთს ამ არჩევანზე იძულების მოხდენის არანაირი უფლება არ გააჩნია.

უარს ვამბობთ ევროპაში ნებისმიერი გავლენის დაშვებაზე. ეს ისტორიის მონაპოვარია და ასეც უნდა დარჩეს. ამდენად, ალიანსი გააგრძელებს თავისი პარტნიორებისთვის ძლიერი პოლიტიკური და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას. ვმუშაობთ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე საზღვაო აკვატორიაში უზრუნველყოფილი დახმარების, ერთობლივი წვრთნებისა და ინფორმაციის გაზიარების გზით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად ვისაუბრეთ ასევე ქვეყნის შიგნით განხორციელებულ რეფორმებზე და წლიური ეროვნული პროგრამის შესრულებაზე. უმნიშვნელოვანესია, რომ მუშაობა შემდგომშიც გაგრძელდეს სასამართლო სისტემის რეფორმაზე, მედიის თავისუფლებასა და უსაფრთხოების სექტორში ანგარიშვალდებულებაზე.

ასევე მოგიწოდებთ, იმუშაოთ ოპოზიციასთან პოლიტიკური განსხვავებულობის საკითხის გადასაჭრელად და პოლარიზებული რიტორიკისა და ქმედებების შესამცირებლად. ალიანსი ელის, რომ საქართველო დემოკრატიულ სტანდარტებს ბოლომდე მიემხრობა, რის შექმნაზეც ასე რუდუნებით მუშაობდა ბოლო წლების განმავლობაში.

ამდენად, ბატონო პრემიერ-მინისტრო, კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გვიხარია თქვენი მასპინძლობა აქ. ძალიან გვახარებს ეს დიდებული პარტნიორობა რომ გვაკავშირებს საქართველოსთან. ასევე, მადლობას გიხდით იმ ძალისხმევისთვის, რასაც საქართველო ამდენი წლის განმავლობაში ახორციელებდა ავღანეთში. თქვენ წილი შეგქონდათ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამა წლის აგვისტოს თვეში ავღანეთიდან ათასობით ადამიანის ევაკუაციაში გვეხმარებოდით.

ჩვენი მისია ავღანეთში არ იყო ფუჭი. ჩვენ ქვეყანაში შევედით საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და 11 სექტემბრის შემდეგ ავღანეთიდან არცერთი ტერორისტული აქტი არ მომხდარა ჩვენი ქვეყნების წინააღმდეგ. ვაგრძელებთ ერთად დგომას, რათა არ დავუშვათ ავღანეთის გადაქცევა საერთაშორისო ტერორიზმის ოაზისად.

ეს ცხადყოფს, რომ პარტნიორობა საქართველოსა და ალიანსს შორის ორმხრივია. ერთმანეთს ვეხმარებით და დიდად მადლობელი ვართ იმ მხარდაჭერისთვის, რაც სხვადასხვა მისიისა თუ ინიციატივის ფარგლებში გაქვთ ალიანსისთვის აღმოჩენილი წლების განმავლობაში. კიდევ ერთხელ მოგესალმებით.

# „მრისხანე“ ამონარიდები თბილისის მთავრობის გუშინდელი სხდომიდან



**დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დაზუსტებული ბიუჯეტის თანახმად, მომავალ წელს თბილისში განსახორციელებელი პროექტების ჯამი მილიარდ 545 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან მილიარდ 305 მლნ ლარი საბიუჯეტო, ხოლო 240 მლნ ლარი დონორების სესხების ნაწილია...**

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე თბილისის მერი გამოეხმაურა დედაქალაქის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დეპუტატის ბრალდებას, თითქოს, მერიის სარეზერვო ფონდიდან თანხები საარჩევნოდ დაიხარჯა.

**„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა დამადანაშაულა, თითქოს, სარეზერვო ფონდიდან თანხები საარჩევნოდ გამოვიყენეთ. მე მგონია, რომ ის უბრალოდ ამ საკითხში ვერ ერკვევა. არ იცის, რომ ყველაფერი მითითებულია, სად ხდება თანხების გადარიცხვა. ასევე, აღნიშნული ფონდი არჩევნების პერიოდში არ ფუნქციონირებს. ეს კანონით აკრძალულია. დანარჩენ შემთხვევაში, ვეხმარებით ყველას, ვინც ამას საჭიროებს. ჩვენ ამ მიდგომას განვაგრძობთ. ადამიანებს პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად დავეხმარებით. ჩვენი დამოკიდებულება ქალაქის მართვის პირობებში არის ის, რომ განსხვავებული ადამიანები არ არსებობენ. სხვადასხვა პროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ სიკეთეს ყველა მოქალაქე იგრძნობს“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა ყურადღება უკანონო მშენებლობებისა და სახელმწიფო მიწების დატაცების ფაქტებზეც გაამახვილა და თბილისის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელს, კახა გულედანს ამ მიმართულებით რეაგირების გამკაცრებისკენ მოუწოდა. დედაქალაქის მერია ყველა უსახლკარო თბილისელ ოჯახს დაეხმარება და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს, თუმცა, მიწების მიტაცებას არასდროს დაუშვებს!

**„ყველა ის ოჯახი, ვისაც საცხოვრებელი სახლის პრობლემა აქვს და ვინც უსახლკაროს სტატუსს ატარებს, საცხოვრებელი ფართით იქნება უზრუნველყოფილი. დედაქალაქში, დაახლოებით, 400-მდე ასეთი ოჯახი გვყავს. ჩვენ ამ პროგრამის განხორციელებას 2022 წელს ვიწყებთ. ჩემი საარჩევნო დაპირება იყო, რომ არცერთი უსახლკარო თბილისელი ოჯახი არ გვეყოლებოდა. ამ ადამიანებს გადაეცემათ მუნიციპალური საცხოვრისი და მათი პრობლემა გადაჭრილი იქნება, მაგრამ მიწების დატაცება და უკანონო მშენებლობები კატეგორიულად მიუღებელია. მინდა, დავავალო მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელს კახა გულედანს, რომ სწრაფი რეაგირება მოახდინოს. მიეცით ამ ადამიანებს იმის შესაძლებლობა, რომ თავადვე მოახდინონ დემონტაჟი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშენებარე ნაგებობების დემონტაჟი განახორციელეთ. ჩვენთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია. ძალიან პრინციპული ვიქნებით ასეთი უკანონობის წინაშე. ჩვენ ისიც ვნახეთ, თუ ვინ დგას ასეთი კრიმინალური საქმიანობის უკან — კონკრეტული ადამიანები, რომელთაც ორი-სამი საცხოვრებელი ბინა აქვთ, რეგიონებში კი ჰექტრობით მიწები. არავის მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ ქალაქის მასშტაბით, უკანონო მშენებლობა განახორციელონ და მიწები დაიტაცონ. ამდენად, იმოქმედეთ, შესაბამისმა სამსახურებმა. თუ საჭირო იქნება, შინაგან საქმეთა სამინისტროც ყოველთვის მზადაა მხარდაჭერისა და თანადგომისთვის“,** — დასძინა კახა კალაძემ.

# საქართველოს ერთიანობის ხელყოფა არავის ეპატიება!



## სააკაშვილის გვერდით, სულ მცირე, 20 დამნაშავე უნდა იჯდეს!

**მძიმე დრო უდგას საქართველოს, ალბათ, ბევრ სხვასაც, მთელ კაცობრიობას თუ არა! ამის მიზეზის (თუ მიზეზების) გონივრული ახსნა ვერავისგან მოვისმინე. იმას როდი ვამბობ, არავინ ახსნა-მეთქი, მე ვერ მოვისმინე-მეთქი, – ამას ვჩივი. არადა, ადამიანის გონება ვერ ურიგდება აუხსნელი მოვლენის არსებობას, ისე, როგორც უსასრულობას და ყველაფერს თავისებურ ახსნასა და საზღვარს უძებნის, როგორც აინშტაინმა მოუძებნა საზღვარი უსასრულობას.**

ის უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს, გლობალური უბედურებაა, ამიტომ არ მიმაჩნია დამაჯერებლად ამ მოვლენის რაღაც ლოკალური მიზეზებითა და ფაქტორებით ახსნა, ისე როგორც ქართველი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები ხსნიან ჩვენი სიბეჩავის მიზეზს: რომ არა ნაციონალური მოძრაობა და მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილი, ჩვენში მშვიდობა და კეთილდღეობა დაისადგურებდაო. სად იყო სააკაშვილი და ნაცშანტრაბა, როცა რუსთაველზე ქართველები „მამაცურად“ ეომებოდნენ ერთმანეთს? ან ნათელაშვილის „ფანჩატურში“ შეკრებილი პარტიები სად იყვნენ, როცა ქართველი „რაინდული“ ბატალიონები სამეგრელოს არბევდნენ? ან ვისი კარნახითა თუ წაქეზებით ანგრევდნენ 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები წინა ხელისუფლების მიერ აგებულ ტრიბუნებსა თუ დეკორატიულ ძეგლებს, შენობებზე ხსნიდნენ სიმბოლურ სამშვენისებს – ვარსკვლავებსა და ჩაქუჩ-ნამგლის ბარელიეფებს, თითქოს ან ერთი ან მეორე კომუნისტების გამოგონილი იყო!

სხვა მიზეზია აქ და სხვა ბოროტი ძალა მართავს ყველაფერ ამას, თორემ აფხაზური, ან ოსური სეპარატიზმი თუ საქართველოს დუხჭირი ყოფით იყო ნასაზრდოები, ესპანეთიდან გასაქცევად აყალყულ კატალონიასა და ინგლისიდან გამოყიფის სურვილით აფოფრილ ირლანდიას რა ბაბასილი უნდათ, არ გიფიქრიათ ამაზე? ის კი არა, ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი შტატი სერიოზულად ფიქრობს დამოუკიდებლობაზე, თურმე!

რა მიზანი აქვს იმ ბოროტ ძალას, ნეტავი? ის მიზანი აქვს, რომ ძალიან უნდა მსოფლიო თავის ჭკუაზე ატაროს და ის გააკეთებინოს რაც თვითონ სურს და ის არ გააკეთებინოს, რაც თვითონ არ ეპიტნავება. ასე იყო საუკუნეების წინ და ასეა ახლაც! სიკეთე და ბოროტება მუდამ ებრძოდნენ ერთმანეთს და თუმცა დღემდე სიკეთე ყოველთვის სძლევდა ბოროტებას, რადან „არსება მისი გრძელია“. ომი ჯერ არ დამთავრებულა.

სიკეთემაც და ბოროტებამაც იციან თავთავიანთი საქმე, ეგ არის მხოლოდ, ერთს ან მეორეს დროდადრო ხელსაყრელი პირობები ექმნებათ ხოლმე და ისე ჩანს, რომ საბოლოო გამარჯვება იმას რჩება, ვისთვისაც ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. მაგრამ დღემდე ასე იყო, რომ ბოროტების წარმატება დროებითია, რადგან სიკეთის არსება გრძელია, იმიტომ რომ, სამყაროს შემოქმედია სიკეთე და არა მისი დამაქცეველი, რომელიც სიკეთესთან ბრძოლაში არაერთხელ გადაიჩეხა უფსკრულში.

**დღეს ბოროტების ზეობაა დედამიწაზე და იგი ადვილად იყენებს იმ ცოდნას, რაც მისი შავი მიზნების მიღწევისთვის არის საჭირო.**

კარგად იცის ბოროტმა: ხალხი რომ შენს ჭკუაზე ატარო, ჯერ ბრბოდ უნდა გადააქციო იგი, რადგან ბრბოს ტვინის გამორეცხვა ძალიან ადვილია. ტვინგამორეცხილი კი მანქურთია მხოლოდ, რომელიც იმას იტყვის და იზამს, რასაც ჩასძახებ და რისკენაც მიუთითებ.

აი, ეს პროცესია დაწყებული ჩვენში და ვინც უმაღლესი შემოქმედის, ანუ სიკეთის მქმნელის იმედსა და რწმენას არ დაუკარგავს, მხოლოდ მას შეუძლია წინ აღუდგეს კარს მომდგარი ბოროტების „მეორედ მოსვლას“!

ბოროტებას რომ წინ აღუდგე, ჯერ კარგად უნდა დაინახო მისი მიზანი და გააცნობიერო იგი. ბრბო ვერ დაინახავს ამას და ვერც გაიაზრებს, რადგან, თუ მთლად გამორეცხილი არა, გვარიანად გალაყებული მაინც აქვს ტვინი. ასე რომ არ იყოს, განა ძნელი დასანახია, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მთელი ეს ცუდად დადგმული კინკლაობა და ფსევდოკონფლიქტები იქით არის მიმართული, რომ ხალხის ყურადღება ბოროტების უმთავრეს მიზანს ასცდეს და წვრილ-წვრილ წარმოდგენებზე იყოს გამახვილებული.

**ბარემ ახლავე ვიტყვი, რა არის ჩვენში გალაღებული ბოროტების მთავარი მიზანი: ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის ერთიანობის მოშლა! ღმერთი კრავს და აერთიანებს, ეშმაკი შლის და აცალკევებს! სწორედ ამ ფორმულის მიხედვით მოქმედებს ბოროტი ძალა და ყველა ღონეს ხმარობს ხალხის ერთიანობის წინააღმდეგ.**

სახელმწიფოებრიობა იყო და არის ეროვნული ერთიანობის უმთავრესი გარანტი, ამიტომაც არის ბოროტების მახვილი მიმართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამიტომაც აცხადებდნენ და აცხადებენ ნეოლიბერალები სახელმწიფოს ბოროტებად და თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტად, ამიტომაც ქადაგებდნენ და ქადაგებენ ისინი პიროვნების სრული თავისუფლების დემაგოგიურ იდეას, რამაც ათქმევინა დიდ მოაზროვნე ჟან-პოლ სარტრს: ადამიანი თავისუფლებით არის დაწყევლილიო. პიროვნების სრულ, ყველაფრისგან თავისუფლებას გულისხმობდა, რა თქმა უნდა, იგი.

სახელმწიფოს დაცემა-დაჩიავება სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტის დაკნინებითა და დაბეჩავებით იწყება. უცხოტომელებით დასახლებულ ხეობაში პოლიციის რაზმი რომ შეგყავს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის დასაცავად და იმ ხეობის უცხოტომელი მოსახლეობა ქვის სროლითა და სახრით დამფრთხალი ნახირივით რომ გამოდევნის ფორმიან პოლიციელებს, იმ უცხოტომელებს რა პატივისცემა, ხათრი და რიდი ექნებათ სახელმწიფოსი? ამიტომაც იყო, რომ ერთი გაბრაზებული იმხეობელი ჩამოვიდა, მთავრობის (პარლამენტის) შენობის წინ, რუსთაველის გამზირზე კარავი დასცა და ულტიმატუმი წაუყენა ხელისუფლებას: ამას თუ არ იზამთ, დედას გიტირებთო!

ფიე, როგორია, ჰა?

ეს რა არის, თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, დღისით-მზისით ერთმა მომიტინგემ წესრიგის დამცველ პოლიციელთა კორდონში მდგომ პოლიციელს პირდაპირ თავში ჩასცხო ხელი: ჩემს ქალაქში თავისუფალ გადაადგილებას მიშლი, ბიჭოო?

ხალხი თუ გინდა გამოათაყვანო, ნამდვილი ღირებულებები ყალბი ღირებულებებით უნდა შეუცვალოო – მოძღვრავდა ალენ დალესი თავის ემისრებს. აგერ, ჩვენში ეგ არ ხდება, სწორედ? ქალაქის ცენტრში, მოედანზე, ქართველთა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღეს და ქალაქგარეთ, ძველი ავტოინსპექტორივით შუაგულ ტრასაზე დადგეს, მის ნაცვლად კი დიდი ველოსიპედი წამოჭიმეს, რომელსაც ორივე მხარეს აქვს საჭე, რაც არსაით წასვლის, ანუ უძრაობის სიმბოლოა, ნამდვილად.

**უკვე მესამე თვეა ქართულ ტელევიზიებს იმის მეტი საქმე არ აქვთ, რომ ყველა საინფორმაციო პროგრამა გადაცემას იწყებს და ამთავრებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, აწ ე.წ. პატიმრის მიხეილ სააკაშვილის ამბით: მიშა ჭამს, მიშა არ ჭამს, მიშამ თაფლი მიირთვა, ამდენი და ამდენი ჭიქა წვენი დააყოლა და მერე ჩამოთვლიან მასთან შემსვლელ ვიზიტორებს, ექიმებსა და ვექილებს, ძველ და ახალ ცოლებს, ნათესავებსა და მეგობრებს და ა.შ. და ა.შ.**

ეგრეთწოდებული პატიმარი-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ თვეში პატიმართან ორასზე მეტი ვიზიტორი რომ შევა, ის პატიმარი კი არა, საქმეში ჩაფლული თანამდებობის პირია. ამიტომაც თქვა თავის ე.წ. სასამართლო პროცესზე:

აქ ამდენ ხანს რომ მაყურყუტებთ, თქვენსავით მოცლილი ხომ არ გგონივართ, უამრავი საქმე მაქვს და არ მცალიაო.

პატიმარი აცხადებს, მე სად მცალია, ბევრი საქმე მაქვსო!!!

პირდაპირ შემზარა იმის ცქერამ, როგორ ეხვეწებოდნენ პროკურორები ადვოკატებს „მათქმევინეთ ორიოდ სიტყვაო“. მოსამართლე კი იჯდა ბუსავით და უყურებდა ამ ტრაგი-კომიკურ სცენას და როდესაც თვითონაც ჩაერია საქმეში და აყალმაყალის დაოკება სცადა, კაი-კაი შეფასებები დაიმსახურა.

პოლიცია დაბრიყვებულია, სასამართლო – აბუჩად აგდებული!

ყველას გემახსოვრებათ, პარლამენტის სხდომის ჩაშლის მიზნით ორმა ე.წ. დეპუტატმა როგორ შეიტანეს რაღაც უბედურება სითხე და გაუსაძლისი სუნი დააყენეს. ის სხდომა ჩაშალეს, მაგრამ დაისაჯა ვინმე? არა და ტერორიზმის მუხლით უნდა გაესამართლებინათ ის ორი „ტერორისტი ქალბატონი“. მათ გამოცდილებას ახლა საკრებულოებში იყენებენ ბათუმსა თუ ზუგდიდში, ფოთსა თუ ხონში. რაც ამას წინათ ვიხილეთ კულტურისა და ა.შ. მინისტრის თეა წულუკიანის გამოსვლისას, გასართობად კი ვარგოდა (შოუს მინისტრიც ვარო. – თქვა ქალბატონმა თეამ), მაგრამ პარლამენტში რომ ისეთი ე.წ. დეპუტატი იქნება, როგორიც მასთან მოკამათე ერთი ქალი იყო, ის არ არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

იხ. 11 გვ.

## კახა კალაძე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს წართმეულ აუზს უბრუნებს!

**„ეს თბილისია, ბალანჩივაძის ქ. №2, საცურაო აუზი „ტონუსი“, უფრო ზუსტად კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შიდა ეზო. აუზი, მაშინდელმა „გეპეიმ“ 1974 წელს სტუდენტებისთვის ააშენა და აქ ფიზკულტურის საგანში ცურვის ჩათვლებზე დავდიოდით. 2006 წელს, ეს აუზი თბილისის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ სტუდენტებს „აახია“. აქ ცურავდნენ, მასაჟებს იტარებდნენ და ისვენებდნენ სააკაშვილის, უგულავას და „ნაცელიტის“ სხვა ლიდერების მეუღლეები დაქალებთან ერთად. ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი**



**რექტორის დავით გურგენიძის, კანცლერის კარლო კოპალიანის მონდომებით და თბილისის მერის კახა კალაძის თანხმობით, ეს კომპლექსი სტუდენტებს დაუბრუნდებათ! „დიახ, გვიბრუნებენ“, –** მითხრა დღეს საუბარში დათო გურგენიძემ. დიდი ხანია ვიცნობ, ჩემი კლასელია და ხმაზე მივხვდი, უზომოდ გახარებული იყო.

ერთიც, **„სოციალურად „გეპეის“ სტატუსი იყო, თუ ვერსად მოეწყობოდი, მერე აუცილებლად შეგტენიდნენ „გეპეიში“. ლამის, ეს სასჯელის ტოლფასი იყო. ჩვენ გვჭირდება ნამდვილი პროფესიონალები, ტექნოლოგები, ინფორმატიკოსები, ინჟინრები“, – ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2012 წლის მარტში სტუდენტებთან შეხვედრისას ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ქონების წართმევამდე ცოტა ხნით ადრე გააკეთა და წაართვა: სასწავლებლის მე-5 და პოლიკლინიკის კორპუსები, იქვე მდებარე სტადიონი – წაართვა სტუდენტებს და გადასცა „საქართველოს უნივერსიტეტს“, რომლის დამფუძნებელია ყოფილი მე-3 პრეზიდენტის დედა გიული ალასანია და მისი დაქალი მანანა სანაძე.**

**„ამ ქონების დაბრუნების პროცესი დაწყებული გვაქვს“ – ესეც დღეს მითხრა რექტორმა. წარმატებებს გისურვებთ, ბატონებო! გმადლობთ“!..**

**ლაშა გეგეჭკორი**

# ...9 წელი შეშლილი მართავდა ქვეყანას თუ ავანტიურისტი?!



**„აუცილებლია პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და ზომიერად, მძიმედ გამოხატული დეპრესიის მკურნალობის მიზნით, შესაბამისი ფსიქოთერაპიული ჩარევა, ასევე ჩატარდეს შესაბამისი დამატებითი კვლევები ამ სფეროს, მათ შორის, ფსიქოტრავმის სპეციალისტების პროფესიონალების ჩართულობით“,** — ასეთია სახალხო დამცველის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებლად მიიჩნევენ **მიხეილ სააკაშვილის** ფიზიკურ რეაბილიტაციას.

დასკვნაში პაციენტის მდგომარეობის ზოგადი შეფასებისას ნათქვამია, რომ მდგომარეობა საყურადღებოა. ამ ეტაპზე გამოხატულია შემდეგი ძირითადი პრობლემები: ნევროლოგიური სიმპტომატიკა, კერძოდ, მზერის პარეზი, წონასწორობის დარღვევა, ზოგადი სისუსტე, პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და მძიმედ გამოხატული დეპრესიული აშლილობის კლინიკური ნიშნები, ანემია. განცხადების თანახმად, რიგ მედიკამენტებთან, მათ შორის ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან დაკავშირებით გამოვლინდა უფრო ოპტიმალური დანიშნულების საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ნევროლოგი **თენგიზ წულაძე** ამბობს, რომ რადგან სააკაშვილს პოსტტრავმული, სტრესული აშლილობა აქვს, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში, ყველაზე მეტად გლდანში მიიღო, იქ გადაყვანას მხარს არ დაუჭერენ. მისი თქმით, პაციენტის მდგომარეობა რჩება საყურადღებო, რადგან რჩება გარკვეული პათოლოგია, წონასწორობის დარღვევა, სისუსტე, გამოხატულია ანემია, მძიმე დეპრესია და პოსტტრავმული აშლილობა.

განსხვავებულია ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ფსიქიატრ **მარინა კურატაშვილის** შეფასება და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ფარმაკოლოგიური წამების ნიშნებს ვერ ხედავს, ხოლო ზოგიერთი წამლის დოზის გაზრდას პატიმარი თავად ითხოვდა.

**„რა იყო სხვა დაწესებულებებში, არ ვიცი, მაგრამ გავეცანი ჩემი კოლეგების კონსულტაციებს, სადაც ბატონი მიხეილის მონაყოლის მიხედვით არის დაფიქსირებული, თუ რა წამლებს იღებდა. იქ არის მაქსიმუმი დოზა, ისევ „ქვეტიაპინზე“ ვლაპარაკობ. მას დანიშნული ჰქონდა 100 მილიგრამი და თუ 100 მილიგრამზე ვერ დაიძინებდა, უმატებდნენ 50 მილიგრამს, ზოგჯერ მისი თხოვნითაც“,** — განაცხადა **მარინა კურატაშვილმა**.

* * *

ცენტრ „ემპათიას“ ნევროლოგის **ოთარ თოიძის** განცხადებით, სააკაშვილის მდგომარეობა შეიძლება იმდენად დამძიმდეს, რომ მივიღოთ არა ჯანსაღი გონებით, არამედ ინვალიდი მიხეილ სააკაშვილი. მისი თქმით, ის ღებულობდა პრეპარატ „კეტილეპტს“, რომელსაც გააჩნია ძილის მომგვრელი ეფექტი, თუმცა, ეს არ არის მისი პირდაპირი ჩვენება. თოიძით თქმით, არის საძილე მედიკამენტების მთელი არსენალი, რომელიც შესაძლებელი იყო, რომ დანიშნულიყო.

**„რამდენიმე დღეა გამოიხატა ანორექსიის მოვლენა. ღებულობდა წამალს, რომელიც არ უნდა მიეღო, ეს მედიკამენტი დანიშნულ იქნა არადანიშნულებისამებრ, ეს ერთი, მეორე — წამლის ის დოზა, რომელსაც ღებულობდა, ნამდვილად არ არის ტოქსიკური, მაგალითად, თქვენ რომ დალიოთ, მე რომ დავლიო, არაფერს არ გვიზამს, მაგრამ ადამიანი, რომელიც შიმშილობს, 50 დღის განმავლობაში პერმანენტულად კარგავს გონებას, აქვს წნევისვარდნები, სხვადასხვა ნევროლოგიური და არანევროლოგიური გართულებები, ამ შემთხვევაში წამლის პატარა დოზაც მოქმედებს, როგორც ტოქსიკური.**

**პრეპარატ „კეტილეპტს“ აქვს თავისი ინსტრუქცია, ნებისმიერს შეუძლია ჩაიხედოს და ნახოს, ეს პრეპარატი ინიშნება თუ არა ძილის მოსაწესრიგებლად, ფართოდ გავრცელებულია, როგორც საძილე პრეპარატი, თუმცა, ეს არ არის მისი პირდაპირი ჩვენება, მას გააჩნია ძილის მომგვრელი ეფექტი, ისევე, როგორც, ვთქვათ, ალკოჰოლურ სასმელს, შეიძლება დალიო და დაგეძინოს, მაგრამ ის არ არის წამალი“,** — განაცხადა **ოთარ თოიძემ**.

მიუხედავად იმისა, რომ ნინო ლომჯარიას მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის წევრები ამტკიცებენ, რომ ექს-პრეზიდენტის მდგომარეობა მძიმეა, მსჯავრდებულის მიერ გავრცელებული წერილების შინაარსი ადასტურებს, რომ სააკაშვილს არ აქვს ჯანმრთელობის პრობლემა. ის ღიად ადასტურებს, რომ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველაფერზე მიდის. პატიმარი, რომელსაც „გადაადგილების“ პრობლემა აქვს და „დაუძლურებულია“, მორიგ წერილში მხარდამჭერებს მიმართავს, რომ არ უნდა დაელოდონ ოლიგარქის მხრიდან მოწყალებას. თვლის, რომ თავდადებისა და წინააღმდეგობის კერების გარეშე არაფერი გამოვა.

* * *

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, ორგანიზაცია „ემპათიის“ მხრიდან მიმდინარეობდა მიზანმიმართული ცილისწამება, მიმართული მოქმედი ხელისუფლების დისკრედიტაციასა და საერთაშორისო დონეზე მისი იმიჯის განზრახ შელახვისაკენ. მისი თქმით, ორგანიზაცია „ემპათიის“ ხელმძღვანელის, **მარიამ ჯიშკარიანის** მიერ შემოგდებული იყო ცრუ ბრალდება მსჯავრდებული სააკაშვილის მიმართ ე.წ. „ფარმოკოლოგიური წამების“ გამოყენების თაობაზე.

**„ომბუდსმენის კონსილიუმის წევრის, ფსიქიატრ მარინა კურატაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში, „ფარმაკოლოგიური წამების“ ნიშნებს ვერ ხედავს. ნაცების მორიგ ფეიკ-ნარატივს შეიძლება წერტილი დავუსვათ. განსხვავებით მარიამ ჯიშკარიანის საკითხისაგან გასარკვევი რჩება, რა სახის მოტივაცია, პირადი ინტერესი ამოძრავებდა მას სახელმწიფოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. ალტრუისტული, უანგარო ინტერესი, დიდი ალბათობით შეიძლება გამოვრიცხოთ.**

**მისი თქმით, სააკაშვილი არის პატიმარი, რომელიც თავისი ინტერესის ქვეშ აიყვანა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ და სახელმწიფოს სთხოვა მის უსაფრთხოებაზე და ჯანმრთელობაზე აიღოს პასუხისმგებლობა.**

**„სტრასბურგის სასამართლომ გვითხრა, რომ პერიოდულად შემატყობინეთ, როგორ არის მსჯავრდებული პაციენტიო. მე არ ვიცი, რა კომუნიკაციაში იმყოფება ხელისუფლება სტრასბურგთან, მაგრამ ხელისუფლებამ კონსილიუმის კონკრეტულ ექიმიებზე დაყრდნობით სერიოზული წერილი უნდა გააგზავნოს სტრასბურგში, სადაც უნდა აღწეროს ამჟამად არსებული ვითარება და რაღაც-რაღაცები სთხოვოს სტრასბურგს...**

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** შეფასებით, პატიმარ მიხეილ სააკაშვილის გამართლების უსუსური მცდელობით ნებისმიერი სფეროს ცალკეული სპეციალისტი თუ სასულიერო პირი, უწინარესად, საკუთარ თავს აყენებს შეურაცხყოფას. მისი თქმით, ფსიქიატრთა ფართო ჩართულობით უნდა დადასტურდეს, რომ ექს-პრეზიდენტი შეურაცხადია, ანდა მწვავე ფსიქიკური პრობლემები ტანჯავს, ან შეეშვან ბინძურ სპეკულაციებს...

**თამთა ქარჩავა**

# თუ სააკაშვილი ნამდვილად შეურაცხადია, მაშინ ციხიდან გათავისუფლდება!..



**„მისი ფსიქოტიპი ვერანაირად ვერ ურიგდება, რომ ციხეში უნდა იჯდეს. რამდენჯერმე დედამისმაც ხაზგასმით თქვა, სააკაშვილი ისეთი ტიპაჟია, შეზღუდულ სივრცეში ვერ ჩერდებაო. ის კი არა, პრეზიდენტი რომ იყო, მაგიდასთან ვერ დასვამდნენ სამუშაოდ, სულ დარბოდა, სულ გზაში იყო, ჰიპერაქტიური იყო“,** — აცხადებს ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი**.

**— სააკაშვილის ახლობლები გამუდმებით აპელირებენ სააკაშვილისთვის ფსიქოტროპული მედიკამენტების გადაჭარბებული რაოდენობით მიცემაზე, რაც მათ სამომავლო ზრახვებს ავლენს, ივაჭრონ სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობით. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სააკაშვილის კონსილიუმის წევრებს დაემატათ ფსიქიატრი. პარალელურად გიული ალასანია აცხადებს, რომ უკრაინაში დაბრუნებაზე სიტყვა ჩამოუგდო, მაგრამ მიშამ დაუბრიალა თვალები, მე საქართველოში ჩამოვედიო. ამ სცენარის გაგრძელება ხომ არ იქნება, რომ მიშას ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, თუნდაც მისი ნების „საწინააღმდეგოდ“, ოჯახის წევრებმა აიღონ პასუხისმგებლობა და ფსიქოტროპული მედიკამენტების გადაჭარბებული დოზის მიცემის მოტივით სააკაშვილის გაგზავნას შეეცადონ პოლონეთში, ან რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში?**

— არა, ეს უკვე ფანტაზიის სფეროა. თუ არსებობს მედიკამენტოზური ფსიქიკური წონასწორობის დარღვევა, ავადმყოფობა, მაშინ საქართველოშიც შეიძლება უმკურნალონ. არავითარი განსაკუთრებული საჭიროება უცხოეთში გადაყვანის თვალსაზრისით არ არსებობს. სამედიცინო საკითხების განსჯაში ვერ შევალ, მაგრამ არა მგონია, სააკაშვილს სჭირდეს რაღაც უნიკალური დაავადება, თუნდაც მედიკამენტების ტოქსიკური ზემოქმედებით გამოწვეული, რომ უნიკალური მკურნალობა ესაჭიროებოდეს და ეს მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი იყოს. ცხადია, არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მის კონსილიუმში ფსიქიატრი შეიყვანეს. ეს მისი პირადი ექიმის და ოჯახის ინიციატივაა, მანამდე გვარამია საუბრობდა იმაზე, რომ სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა არ არის მყარი. ერთადერთი გზა, რომ ფსიქიკური პრობლემების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს სააკაშვილი, ეს არის შეურაცხადობა, რაც სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს. უნდა დამტკიცდეს, რომ ის შეურაცხადია და შეურაცხადებს არ ასამართლებენ. ჯერჯერობით სააკაშვილი არ მისულა კრიტიკულ მდგომარეობამდე, რადგან ჯერ ორი თვეა, ციხეში იმყოფება. სინამდვილეში, რაც უფრო გავა დრო, მას იმდენად გაუჭირდება ადაპტაცია ციხეში ყოფნასთან, თავისუფლების შეზღუდვასთან, რომ უფრო მეტად დაიმცირებს თავს და ყველაფერზე წავა.

**— არ არის მოსალოდნელი, რომ, სხვა პატიმრების მსგავსად, თანდათან შეეჩვიოს ციხის პირობებს?**

— ვერანაირად ვერ იღებს ამ მსჯავრს, მისივე ფსიქოტიპი ვერ ურიგდება, რომ ციხეში უნდა იყოს. რამდენჯერმე დედამისმაც ხაზგასმით თქვა, სააკაშვილი ისეთი ტიპაჟია, შეზღუდულ სივრცეში ვერ ჩერდებაო. ის კი არა, პრეზიდენტი რომ იყო, მაგიდასთან ვერ დასვამდნენ სამუშაოდ, სულ დარბოდა, სულ გზაში იყო... ძალიან რთულია, ასეთ მდგომარეობაში ციხეში ყოფნა, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, უნდა შეეგუოს.

**— ირაკლი კობახიძე „ნაცებს“ შერიგებისთვის ერთგვარ გამოსავალს სთავაზობს — ჩამოთვალონ დანაშაულები, მოინანიონ და თქვან, რომ ამ დანაშაულების ჩამდენნი არიან და მათი პოლიტიკური ძალის ადგილი პოლიტიკაში აღარ იქნება. როგორ ფიქრობთ, ოდესმე იტყვის „ნაცმოძრაობა“, რომ მათი პოლიტიკური ძალის ადგილი არ არის პოლიტიკაში და ჩამოთვლის საკუთარ დანაშაულებს?**

— ცხადია, ამის ილუზია არ მაქვს, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ „ნაცმოძრაობას“ თუ უწერია პოლიტიკაში ყოფნა, პრინციპულად უნდა გადახალისდეს, არსებითად უნდა შეცვალოს დამოკიდებულება, გაემიჯნოს საკუთარ წარსულს, ეს ძალიან რთული ამოცანაა, მაგრამ იდეაში ეს შესაძლებელია. რა თქმა უნდა, დაუჯერებელია, რომ „ნაცმოძრაობა“ თავის დანაშაულებს ჩამოთვლის, სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს მონაწილეობის და ამომრჩევლის პოლიტიკაში ჩართვის მეტი შანსი. თავისი ნებით „ნაცმოძრაობის“ ლიდერშიპი

# „ნაცმოძრაობა“ ფიურერს დაბადების დღისთვის სიურპრიზს უმზადებს, რაც შესაძლოა, კრახით დასრულდეს!..



**ბელადომანია თუ მიხეილ სააკაშვილისგან შეწუხებული „ენმ“, რომელიც იძულებულია მის დაბადების დღეზე აქცია დაგეგმოს და სააკაშვილი დაამშვიდოს, რომ ის ხალხს ისევ ახსოვს. სავარაუდოდ, მესამე პრეზიდენტს ციხეში გაძლება უჭირს და პარტიის წევრებისგან აქტიურობას ყველა მიმართულებით ითხოვს.**

21 დეკემბერს, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს, რუსთაველზე „ნაცმოძრაობა“ ფართომასშტაბიან აქციას აანონსებს. ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ამ აქციას არ უერთდება და მიიჩნევენ, რომ „ენმ“ ბელადომანიიდან დროზე უნდა გამოვიდეს. თუკი აქციაზე ბევრი ადამიანი არ მივიდა, ეს იქნება თუ არა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ კატასტროფა, რომელიც შესაძლოა, პოლიტიკურ ფასადაც კი დაუჯდეთ?

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **ნუგზარ წიკლაური** ამბობს, რომ 21 დეკემბერს **ნიკა მელიას** დაბადების დღეც არის და ახლა „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იმსჯელოს, 21 დეკემბერი რატომ აირჩიეს.

მისი თქმით, აქციის ჩანიშვნის დისკუსიაში თავად მონაწილეობდა და „რაიმე არგუმენტი, რომ 21 დეკემბერი მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეა, იქ არ ყოფილა“.

რაც შეეხება იმას, რომ ცალკეული პარტია არ აპირებს 21 დეკემბრის აქციას შეუერთდეს, წიკლაურის განმარტებით, „არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სახელისუფლებო ორბიტაზე არიან“.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს აქცია იყოს არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ საქართველოს ყველა იმ მოქალაქის, რომელიც თვლის, რომ პოლიტიკური დევნა არის საზოგადო პრობლემა. ნამდვილად არ აუკანკალდებათ ხელი, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, სხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერებიც დააპატიმრონ, ეს არის ქართული პოლიტიკის პრობლემა, როდესაც შესაძლებელია პოლიტიკური ბერკეტის გამოყენება და ადამიანის იზოლირება, ციხეში გამოკეტვა, ქვეყნიდან გაძევება და ა.შ.“,** — აღნიშნა **ნუგზარ წიკლაურმა**.

„მოქალაქეების“ წევრი **ლევან იოსელიანი** კი აცხადებს, რომ ქვეყანაში ბელადომანია უნდა დასრულდეს და სააკაშვილის დაბადების დღეზე დაგეგმილი აქცია ბელადისთვის მიძღვნილ აქტს უფრო ჰგავს.

**„ამ ბელადომანიიდან უნდა გამოვიდეთ ოდესმე. დემოკრატიული საზოგადოება ასე არ იმართება, ასეთი გზავნილები არ შეიძლება ვიღაცის გულის მოგებაზე იყოს მიმართული. ეს წინააღმდეგობის კერები რას ნიშნავს, არ ვიცი, მგონი განუხორციელებადი იდეაა, რადგან სოციალისტური რევოლუციის მერე ასეთი კერების შექმნა არსად მომხდარა და 21-ე საუკუნეში თუ ვაპირებთ საქართველოში შევქმნათ ასეთი რამ, ეს შეუძლებელია“,** — განაცხადა იოსელიანმა.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ 21 დეკემბერს აქციაზე თუკი ბევრი ხალხი არ მივა, ეს „ენმ“-სთვის დიდი კატასტროფა იქნება. ძაბირაძე ამბობს, რომ სააკაშვილი დიდი ხანია დაჟინებით ითხოვს, ქუჩამ ხმა ამოიღოს, მაგრამ მის დაბადების დღეზე თუკი ხალხი არ მივა, ეს მისი, როგორც პოლიტიკური ლიდერის კიდევ ერთი დამარცხების ტოლფასი შესაძლოა გახდეს.

**„სააკაშვილის დაბადების დღეზე აქციის დამთხვევა, რა თქმა უნდა, გარკვეულ სიმბოლურ სახეს ატარებს. რამდენად არის სააკაშვილი ბელადი, ეგ არ ვიცი, მაგრამ პარტიას ხალხის მობილიზებისთვის დიდი ძალისხმევა რომ დასჭირდება, ფაქტია. თუკი მათი ამომრჩევლის 10%-იც კი ქუჩაში არ გამოვა, ეს ოპოზიციისთვის დიდი კატასტროფა იქნება. „ენმ“-ის წევრების ნაწილიც კი, რომლებიც აქციების მომხრეები არ არიან, იძულებულები იქნებიან ეს აქცია მიხეილ სააკაშვილს მიუძღვნან.**

**თუმცა სააკაშვილი მხოლოდ ერთ ან ორ აქციას არ ითხოვს. მას ფართომასშტაბიანი და პერმანენტული აქციები უნდა. აქციის ორგანიზატორები შეხედავენ რამდენი ხალხი მივა. თუ ცოტა მივიდა, ერთი ორი დღე გაქაჩვას ეცდებიან, მერე კი დაშლიან. არ ველი, რომ თუნდაც „ენმ“-ის ამომრჩეველი ქუჩაში გამოვა. აქამდე არ გამოდიოდნენ გარეთ და ახლა წინასაახალწლოდ, როცა ყველა მაინც რაღაცის მზადებაშია, თუნდაც დამატებით ფინანსების მოძიებაში, ქუჩაში არ გამოვლენ“.**

მისივე თქმით, ხელისუფლებისთვის ოპოზიციის მიერ ჩატარებული თუ დაანონსებული აქციები შემაშფოთებელი არ არის, რადგან არაფერი ისეთი არ ხდება და ხალხი არ მიდის აქციებზე. სააკაშვილი ყველას ყველაფერს შეპირდება, ოღონდ აქციებზე ბევრი ადამიანი მივიდეს. ითხოვს ცნობად სახეებს, რომლებიც მას მხარს უჭერენ, მაგრამ ეს ცნობადი სახეები არ მიდიან. მეორეც, სააკაშვილი, ანალიტიკოსის აზრით, მძიმე მდგომარეობაშია, რადგანაც დასავლეთი მიჩუმათებულია და აღარ იცის ყურადღება როგორ მიიქციოს.

**„დასავლეთი მიჩუმათებულია, იქაც საშობაო არდადეგები იწყება. ჩვენთან 15 იანვრამდე აქციებს დატვირთვა არ ექნება. თვითონ კი დარწმუნებულია, რომ მისი ხსნა მხოლოდ ფართომასშტაბიან და პერმანენტულ აქციებშია. არადა ხვდება, რომ მოუწევს ამ პერიოდის ციხეში გატარება. სავარაუდოდ, ის ციხეში ვეღარ ძლებს და საკუთარი გუნდის წევრებს ყველა ხერხის და ღონის გამოყენებას სთხოვს, რათა ხალხი გარეთ გამოიყვანონ. ხვდება, რომ დასავლეთი ჩუმად არის. მათი ყურადღების მიქცევა მხოლოდ აქციებით არის შესაძლებელი. თუმცა მის ამომრჩეველშიც კი ქუჩის განწყობა არ არის. ამიტომ არის, რომ ჩიხში შესული ხან მოლაპარაკებას, ხან შერიგებას და ხან რას აღარ ითხოვს. ხელისუფლება კი მშვიდად არის. მასზე არც ქვეყნის შიგნიდან და არც მის გარეთ ზეწოლა არ არის. ამიტომ არც არაფრის ეშინია და თავის დღის წესრიგს მიჰყვება“,** — ამბობს ძაბირაძე.

**მოსახლეობა შემაღონებელი პოლიტიკური პროცესით, ქუჩის აქციებით და ერთმანეთის გინებით დაიღალა. მისი უდიდესი ნაწილის დაკვეთა სიმშვიდეზე დაფუძნებული პოლიტიკა.**

კონფლიქტოლოგი **გიორგი კანაშვილი** მიიჩნევს, რომ ხალხი აქციებით და რადიკალიზმით დაიღალა. კანაშვილი ამბობს, რომ პარტიებს და პოლიტიკურ ელიტას შეეძლო პროცესების არა რადიკალიზაციისკენ, არამედ პირიქით დეესკალაციისკენ წაყვანა. თუმცა ამას არ აკეთებენ. არადა ხალხის დაკვეთა არა ქუჩა, არამედ პრაგმატული პოლიტიკაა. შესაბამისად, ის ეჭვობს, რომ 21 დეკემბერს „ენმ“ ქუჩაში ბევრი ხალხს ვერ გამოიყვანს.

**„მოსახლეობა პოლიტიკური პროცესის რადიკალიზაციით, ქუჩის აქციებით და ერთმანეთის გინებით დაიღალა. მისი უდიდესი ნაწილის დაკვეთა სიმშვიდეზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პოლიტიკაა. ამიტომ მათ ქუჩის აქციები ნაკლებად აინტერესებთ. პირიქით, ეს საზოგადოებას აშინებს და ისედაც ამდენი პრობლემით დაღლილებს ეს დამატებით პრობლემად მიაჩნიათ.**

**წესით, ამ დაკვეთით უნდა ისარგებლონ სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, ანუ მათ ვინც არც „ქართულ ოცნებას“ და არც „ნაცმოძრაობას“ განეკუთვნებიან. ზოგიერთმა, ეს შესაძლებლობის ფანჯარა ვერ დაინახა და პირიქით, გახდა ამ ორი პოლუსის ტყვე. ზოგიერთმა თითქოს დაინახა და ამაზეც აგებდა საარჩევნო კამპანიას, მაგრამ არჩევნების შემდეგ ფაქტობრივად გაქრნენ პოლიტიკური ველიდან. მაგალითად, გიორგი გახარაია, რომელიც თავიდან ვითარებაში კარგად გაერკვა, მაგრამ ახლა სულ გაქრა. არადა, ახლაა მომენტი, რომ რაღაც სხვა შესთავაზონ მოსახლეობას, თუ აქვთ რაიმე შესათავაზებელი. რაც შეეხება ენმ-ის მიერ 21 დეკემბერს დაგეგმილ აქციას, არ მგონია, რომ ბევრი ხალხი გამოვიდეს. ახალი წელი მოდის მით უმეტეს და ქუჩაში ხალხის გამოყვანა საერთოდ გაჭირდება“,** — ამბობს კანაშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

**ერთადერთი გზა, რომ ფსიქიკური პრობლემების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს სააკაშვილი, ეს არის შეურაცხადობა, რაც სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს. უნდა დამტკიცდეს, რომ ის შეურაცხადია და შეურაცხადებს არ ასამართლებენ**

ამას არ გააკეთებს. „ნაცმოძრაობა“ უნდა გაემიჯნოს წარსულს, არ ღირს ჯიუტად იმის ჩაბღაუჭება, ჩვენ ყველაფერს კარგად ვაკეთებდითო, „კავკასიურ ცარცის წრეში“ რომ არის ნათქვამი, „მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებო“. „ნაციონალების“ შემთხვევაში პირიქით იყო, დანაშაულები და შეცდომები იყო მათი საფირმო ნიშანი. მათ უნდა აღიარონ, რომ მათ დროს წამების სისტემა იყო ქვეყანაში შექმნილი, სისტემური დანაშაულები ხდებოდა, ასევე, აგვისტოს ომის კრახი. მათი პასუხისმგებლობაა ეს. თუ „ნაცები“ შეძლებენ, ეს ყველაფერი გადაიტანონ და თავის თავთან და სინდისთან გაარკვიონ ყველაფერი, შეიძლება მომავალი ჰქონდეთ, მანამდე ამ დესტრუქციიდან ვერ გამოვლენ.

**— პრეზიდენტი ზურაბიშვილი ეროვნული შერიგების ინკლუზიური პროცესის წამოწყებას აპირებს, რაც სააკაშვილს მრგვალ მაგიდასთან მისხდომით და წარსულზე საუბრით წარმოუდგენია, ოღონდ პირველად გორის სამხედრო ჰოსპიტალში. წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის პრეზიდენტ ზურაბიშვილის ახლანდელი შერიგების იდეა მის პირვანდელ ნათქვამთან, რომ არასდროს შეიწყალებს სააკაშვილს, რადგან, მოგეხსენებათ, შერიგების გზა „ნაციონალებისთვის“ მხოლოდ სააკაშვილის შეწყალებაზე გადის?**

— წინააღმდეგობაში არ მოდის, რადგან შერიგება მარტო სააკაშვილის საქმით არ შემოიფარგლება. პირიქით, შერიგების ერთ-ერთი პირობაა, მართლმსაჯულებას ხელი არ შეეშალოს და ყოველგვარი ინსინუაციები და სპეკულაციები — „თავისუფლება მიშას“ უნდა შეწყდეს. არც პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ პოზიციის შეცვლას აპირებს სააკაშვილთან მიმართებით. ის კი არა, პრეზიდენტმა ორჯერ თქვა, არა და არასდროსო, მესამედ, უბრალოდ, პასუხი აღარ გასცა, ძაღლისკენ გადაამისამართა ამ შეკითხვის დამსმელნი. ცხადია, დაპირისპირებულ მხარეებს შორის შერიგება შეიძლება პოზიტიური დღის წესრიგის გარშემო, ბევრი საკითხია, რაზეც სამსჯელოა და შეიძლება დისკუსია გაიმართოს. მთავარია შეთანხმების მიღწევა, პირველ რიგში, აქ ვგულისხმობ პარტიულ-პოლიტიკურ სისტემას, რომელიც კონტრპროდუქტიულია, ქვეყნის საზიანოდ მუშაობს. ბევრჯერ მითქვამს, რომ ეს ფსევდოპარტიები, სინამდვილეში, კლიენტელები არიან და ხალხის ნების ჩამოყალიბებას კი არ უწყობენ ხელს, არამედ თავად გვახვევენ თავიანთი პატრონების ნებას, რომელიც ხშირად ანტისახელმწიფოებრივია. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია „ნაცები“ სააკაშვილის დღის წესრიგით, რომელიც აბსოლუტურად დესტრუქციულია და პერსპექტივა არ აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ხალხისთვის არაფრის მომტანი არ არის. აქედან გამომდინარე, რაღაც ზომებია მისაღები, რომ პარტიების შესახებ კანონთან დაკავშირებით შეთანხმება მოხდეს. იმის ნაცვლად, დესტრუქცია და პოლარიზაცია ფინანსდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვგულისხმობ პარტიების დაფინანსებას, ეს რამენაირად უნდა შეიზღუდოს. გარდა ამისა, უცხოური ფული, რომელიც მტრული მიზნებით შემოდის საქართველოში, პოლიტიკიდან ნელ-ნელა უნდა გავიდეს.

**— უკრაინიდან შემოდის ეს ფული, სააკაშვილის გარემოცვიდან, თუ ოფშორებიდან?**

— უკრაინიდანაც და ოფშორებიდანაც... აუცილებელია პოლიტიკური ურთიერთობების და პოლიტიკის გადატვირთვა, ამის ერთ-ერთი ნაწილია მედიის რეგულირება, რადგან მედია გადაყლაპა, შთანთქა პარტიულ-პოლიტიკურმა სისტემამ და მედია პარტიულ პროპაგანდად გადააქცია. ასევე, საჭიროა საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება, სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომ ამომრჩეველს მეტი საშუალება ჰქონდეს, გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე.

**— ვირტუალურ სამიტზე პრეზიდენტის დასწრებამ გააჩინა ეჭვი, ხომ არ ჰქონდა მას მითითება აშშ-ის ხელმძღვანელობისგან სააკაშვილის გათავისუფლების თაობაზე და ამიტომ ხომ არ ალაპარაკდა შერიგების იდეაზე?**

— ამას გამოვრიცხავ. სააკაშვილთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიცია ცალსახაა და მკაფიოდ აღნიშნულია, რომ არ შეიწყალებს, ამის შეცვლას არანაირად არ ველოდები, ამის არავითარი ნიშანწყალი არ არის.

**— გაუგებრობის ასაცილებლად ხომ არ ჯობდა, პრეზიდენტს გაეკეთებინა დათქმა, რა შემთხვევაში მოხდება შერიგება, ან პირველი რა ნაბიჯი უნდა გადადგას „ნაცმოძრაობამ“, ან „ქართულმა ოცნებამ“?**

— ცხადია, ეს საკმაოდ ზოგადი მოწოდებაა პრეზიდენტის მხრიდან, რა თქმა უნდა, მისი შინაარსია პოზიტიური დღის წესრიგის გარშემო კონსოლიდაცია, მაგრამ რაც არის უმთავრესი სამსჯელო, ეს გახლავთ პოლიტიკური თამაშის წესები. პოლიტიკური თამაშის წესები შესაცვლელია იმდენად, რამდენადაც პარტიები უნდა გაიზარდონ, ჩამოყალიბდნენ, სარგებლის მოტანა შეეძლოთ ქვეყნისთვის. პირველ რიგში, უნდა წახალისდეს არა მხოლოდ პარტიათა კონკურენცია, არამედ მათი თანამშრომლობა. ისინი პარტნიორები არიან. ისინი არიან სუბიექტები, რომლებიც პოლიტიკას განსაზღვრავენ, პარტიის განმარტება კანონში ასეთია, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას.

**— ეროვნული შერიგების იდეისთვის, პირველ რიგში, რა უნდა გააკეთონ თავად „ნაციონალებმა“? პარლამენტში უნდა შევიდნენ?**

— რასაკვირველია, უნდა ჩაერთონ საპარლამენტო პროცესში და პოზიტიური დღის წესრიგის შექმნაში მიიღონ მონაწილეობა.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**



# თხაბა ერდის ტკივილი

## ინგუშეთში რუსები ქართულ ძეგლებს ანადგურებენ!!!

**ორ კვირაზე მეტია, საქართველოს მეზობელ ინგუშეთში ცდილობენ გამოიძიონ ვანდალიზმის ფაქტი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერეს ძეგლზე – თხაბა – ტყობა ერდიზე მოხდა.**



თხაბა ერდის პირველი ჩანახატი, შესრულებულია ლეონტი ფონ შტედერის მიერ 1781 წელს

official photo

ქართული ვერსიით, ტაძრის სახელწოდება – წმიდა მოციქულ თომას სახელთან არის დაკავშირებული (ერდი – წმიდა, თ(ხ)ობა – თომა). ინგუშური ვერსიით კი ორი ათასი წმინდანის (თხაბა – ოცი ასი, ერდი – წმიდა) სახელთან.

ეს არის უძველესი ქრისტიანული ეკლესია თანამედროვე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, რომელიც ქართველებმა მე-8-9 საუკუნეში ააგეს და დღემდე ინგუშებისთვისაც დიდი სიწმინდეა. ტაძარი მდინარე ასას ხეობაში მდებარეობს, რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან 10 კილომეტრში, ჯეირაჰის რაიონში, რომელიც პირიქითა ხევსურეთს ესაზღვრება.

ეს ტერიტორია, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ, 1943-1957 წლებში, საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ მყოფ, საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულში – ახალხევის რაიონის საზღვრებში იყო მოქცეული.

**„ინგუშეთიდან მაცნობეს, რომ ტყობა ერდიზე მისულა, ამ დრომდე დაუდგენელი ტურისტული ჯგუფი, რუსეთის ფედერაციის სხვა რესპუბლიკიდან, როცა გიდს ტაძრის შესახებ მოყოლა დაუწყია და უთქვამს, რომ ძეგლი ქართული წარმოშობისაა, ამ ჯგუფში მყოფ რამდენიმე პირს გადმოუნგრევია ტაძრის გარე კედლის ნაწილი, რამდენიმე ქვა, მოუტეხიათ ასევე საინფორმაციო დაფაც“,** – გვითხრა ჩერქეზული კულტურის ცენტრის ხემძღვანელმა პროფესორმა მერაბ ჩუხუამ, რომელიც 90-იან წლებში ინგუშეთში ცხოვრობდა და პედაგოგად მუშაობდა.

მისივე თქმით, „ინგუშებისთვის ეს არის წმინდა ადგილი, ეს არის ინგუშური კულტურის აკვანი, თხაბა ერდის გარდა, ამ ტერიტორიაზეა ცნობილი ინგუშური კოშკები, ერზის ნაკრძალი, ჯეირაჰ-ასინის ღია მუზეუმ-ნაკრძალი, შესაბამისად, მაშინვე დაიწყო გამოძიება, დახმარებისთვის მიმართეს ახლო სოფლების მცხოვრებლებს. თხაბა ერდის ის დაზიანებული გარე კედელი ინგუშებმა მაშინვე აღადგინეს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც უნიკალური ქართული ტაძარი, რომელსაც რუსეთის ფედერალური მნიშვნელობის კულტურის მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, მიზანმიმართულად ზიანდება.

გასული საუკუნის, 90-იანი წლების ბოლოდან, ჩეჩნეთის მეორე ომის აქტიური ფაზის დასრულების დროს, ასას ხეობაში, რუსეთის 58-ე არმია იყო დისლოცირებული. 1998-99 წლებში, რუსებმა ეს ხეობა რამდენჯერმე დაბომბეს, „ბოევიკების“ განადგურების საბაბით. რუსმა ჯარისკაცებმა გათხარეს და შეურაცხყვეს რამდენიმე სამარხიც. 2001 წლის ზაფხულში კი მათ წაბილწეს და ძლიერ დააზიანეს თხაბა ერდის ქართული ტაძრის სახურავი და კედელი.

2001 წელს, ინგუშეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა საჯაროდ განაცხადა, რომ შეურაცხყოფილი და შოკირებულია იმით, რომ რუსმა ჯარისკაცებმა, **თხაბა ერდის ქრისტიანულ ტაძარში, ჯერ ტუალეტი (!!!) მოაწყვეს, შემდეგ სახურავი მოხსნეს და ტაძრიდან საკულტო ქვები გაზიდეს. ახლოს მთაზე, წარწერა დატოვეს – „ვინ თუ არა ჩვენ!“ და „ჩვენ ვმსახურობდით და კიდევ ვიმსახურებთ კავკასიაში!“** – ამ ამბავს საერთაშორისო პრესაშიც დიდი გამოხმაურება ჰქონდა.

ნიშანდობლივია, რომ ინგუშებმა მაშინ, ისევე როგორც ადრე, დახმარება თხაბა-ერდის ტაძრის აღდგენაში საქართველოს სთხოვეს. თბილისმა დაუყოვნებლივ მიმართა იუნესკოს, ასევე რუსეთის კულტურის სამინისტროს.

მოსკოვი თავდაპირველად დათანხმდა, რომ ტყობა-ერდი ქართველ მეცნიერებს მოენახულებინათ, რესტავრაციის პროექტის შედგენის მიზნით, თუმცა მალევე, ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, უკვე გაცემული რუსეთის ვიზები გააუქმა.




2001 წელს რუსეთის არმიის მიერ წაბილწული და დანგრეული თხაბა ერდი და ინგუშური კოშკები

ტყობა-ერდი რუსებმა „საკუთარი ძალებით აღადგინეს“, თუმცა 58-ე რუსული არმიის სამხედრო პოლიგონი ასას ხეობაში, თითქმის, 2008 წლამდე დარჩა, რამაც როგორც ქართული ტაძრები, ისე ინგუშური უნიკალური კოშკები ისევ დააზიანა.

პარალელურად, რუსული როგორც საერო, ისე საეკლესიო ისტორიოგრაფია ხმალამოღებით იბრძოდა და ახლაც იბრძვის ტყობა-ერდის ქართული წარმოშობის წინააღმდეგ და ამ დრომდე სამ ვერსიას ავითარებს: „დაუდგენელი წარმოშობის“, „სომხური“ და „ალანური“.

ჩრდილო კავკასიური შუასაუკუნეების არქიტექტურის ერთ-ერთი ცნობილი რუსი ექსპერტი, პროფესორი პიშჩულინა ტაძრის „სომხურ“ წარმოშობას „ემხრობა“. რუსეთის Православная энциклопедия-ში, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს კურთხევით დაიბეჭდა, მითითებულია, რომ თითქოს ტყობა ერდი „ოსურ-ალანური“ ტაძარია;

ტყობა ერდის „ალანური“ „წარმოშობის“ „განსამტკიცებლად“ რუსეთის პატრიარქის კირილეს კურთხევით, ტაძარი 2011 წელს, მოინახულა რუსეთის ეკლესიის, ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიის არქიმანდრიტმა ზოსიმამ.

2012 წელს კი ინგუშეთში მდებარე ქართულ ტაძარში, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, პირველი ღვთისმსახურება ალანიის ეპარქიის მღვდელმა სავა გაგლოევმა ჩაატარა. ამ ცერემონიას სპეციალური სტუმრის სტატუსით მარია რომანოვაც დაესწრო, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქო რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრედ მიიჩნევს.

**„იმ ფაქტის უარყოფა, რომ ტყობა ერდი ქართული წარმოშობის ტაძარია, დღეს წარმოუდგენელია, ისტორიის ასე გაყალბება შეუძლებელი“,** – გვითხრა ცნობილმა არქეოლოგმა და კავკასიოლოგმა გივი ღამბაშიძემ, რომელიც ტყობა ერდის არქეოლოგიურ გათხრებს 1968-1971 წლებში ედგა სათავეში; ტაძრის რესტავრაციას მაშინ არქიტექტორ-რესტავრატორი ლევან ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ტყობა ერდით არაერთი დიდი მეცნიერი და მკვლევარი იყო დაინტერესებული, იქნებოდა ეს მორიც ფონ ენგელჰარდტი, დიმიტრი ბაქრაძე, ვსევოლდ მილერი, ევგენი კრუპნოვი თუ გიორგი ჩუბინაშვილი.

სწორედ ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა ჩუბინაშვილმა განსაზღვრა, რომ ტყობა ერდი, თავის დროზე იყო სამეკლესიანი ბაზილიკა, რაც მხოლოდ ქართული საეკლესიო ხუროთმძღვრების ფენომენია.

**„აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ეს განსაზღვრება, დავადასტურეთ არქეოლოგიური გათხრებით, რომ ეს ნამდვილად სამეკლესიანი ბაზილიკაა. მანამდე ევგენი კრუპნოვმა, რომელიც ძალიან ცნობილი არქეოლოგი და კავკასიოლოგი იყო, ათწლეულების მანძილზე**



ინგუშური კულტურის აკვანი, იქ, სადაც რუსებმა სამხედრო პოლიგონი მოაწყვეს

**ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიურ ექსპედიციას, ასევე ცალსახად თქვა, რომ ტყობა ერდი ქართული წარმოშობისაა“,** – გვიყვება გივი ღამბაშიძე.

მეცნიერები ტყობა ერდის მშენებლობის სამ მნიშვნელოვან ეტაპს გამოყოფენ – ყველაზე ძველი ეკლესიის საკურთხევლის საძირკველი VIII-IX საუკუნეებით თარიღდება; X-XI საუკუნეებში ძეგლის ხელახალ აშენებაზე, იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი ძველქართული ეპიგრაფიკული მასალა, ასომთავრული წარწერები მეტყველებს (1. **„ქრისტე ადიდე აღმოსავლეთისა პატრიარქი მელქისედეკ, ამინ“; 2. „მოიხსენე სული გიორგი ეპისკოპოსისა“; 3. „სახელითა ღმრთისაითა შემიწყალე“; 4. „სახელითა წმიდა გიორგისითა, მე, გიორგი ეპისკოპოსმან“; 5. „ქრისტე შეიწყალე მრღვფი“; 6. „ქრისტე შეუნდვენ არსენს, მ“**), ასევე, ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ნიშნებიც; უკვე XV-XVI საუკუნეებში კი ძეგლზე უკვე ინგუშური არქიტექტორული ტრადიციები ჩნდება და ტაძარი მნიშვნელოვნად იცვლება.

**„ეს არის ჩვენი, ქართველების და ინგუშების, საერთო კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, მოყოლებული იმ დროიდან, როცა ინგუშების წინაპრები – ძურძუკნი და ღლიღვნი, ქართული სახელმწიფოებრივი, კულტურული, რელიგიური და ენობრივი სივრცის განუყოფელი ნაწილი იყვნენ“,** – ამბობს გივი ღამბაშიძე.

მე-19 საუკუნის ბოლოს, დადასტურებულად ცნობილია, რომ ტყობა ერდში იკრიბებოდა ყველა ინგუშური გვარი, Мехк Кхел-ზე, ანუ უხუცესთა უმაღლესი საბჭოზე და სწორედ აქ ბჭობდნენ ინგუში ერის საჭიროებებზე!

**„იმხელა მოწიწება და პატივისცემა ჰქონდათ ინგუშებს ამ ტაძრის და სწორედ ამ სიყვარულმა გადაარჩინა ტყობა-ერდი. ამიტომ ვინც დღეს, ტყობა ერდის, ჩვენი საერთო კულტურისა და ისტორიის წინააღმდეგ გამოდის, ის ილაშქრებს ქართულ-ინგუშური ურთიერთობების და კავკასიური ერთობის წინააღმდეგ, ეს უნდა გვესმოდეს კარგად და ამ ურთიერთობას უნდა გავუფრთხილდეთ“,** – ამბობს არქეოლოგი და კავკასიოლოგი გივი ღამბაშიძე.

სამწუხაროდ, 1968-71 წლებში ტყობა ერდიზე აღმოჩენილი უნიკალური არქეოლოგიური მასალის ნაწილი, რომელიც გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა, ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, რუსების მასიური საავიაციო დაბომბვის დროს განადგურდა და დაიკარგა. ექვსი ბარელიეფი კი, რომელიც შესასწავლად საქართველოში ჩამოიტანეს და 40 წლის მანძილზე, თელავის მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილი იყო, ინგუშებს უკან 2011 წელს დაუბრუნდათ.

ტყობა ერდის ტკივილი ამით არ დასრულებულა. 2020 წლის სექტემბერში რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ მოულოდნელად ქვეყნის ყველაზე ძველი ქრისტიანული ტაძარი აუქციონზე გაიტანა! ტყობა ერდის, 10-წლიანი იჯარის უფლების მოპოვება სულ რაღაც მილი-



დანგრეული გარე კედელი, ვანდალიზმი თხაბა ერდიზე, 2021 წლის ნოემბრის ბოლო

№214. პარასკევი-კვირა, 17-19 დეკემბერი, 2021 წელი.

მოსკოვის საპატრიარქოს ვლადიკავკაზის და ალანიის ეპარქიის მღვდლები და მარია რომანოვა თხაბა ერდის ტაძარში, 2012 წელი





ქართული ასომთავრული წარწერები თხაბა ერდის ტაძარზე




ამ დაფაზე წერია, რომ თხაბა ერდის რუსეთის ფედერალური მნიშვნელობის კულტურის მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს და მისი დაზიანება კანონით ისჯება

ონ 180 ათასს რუბლად, ანუ დაახლოებით 50 000 ლარად იყო შესაძლებელი. ამ გადაწყვეტილებამ ინგუშეთში სკანდალი გამოიწვია და ინგუშეთის მთავრობამ ეს აუქციონი გააუქმა.

2021 წლის მაისის ბოლოს ტაძარი კიდევ ერთხელ დაზიანდა. საქართველოს ტერიტორიაზე, უკანაფშავში, სოფელ შუაფხოსთან მომხდარმა 4.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრამ, ასას ხეობაში ტყობა ერდიზე ბზარები კიდევ უფრო გაზარდა.

ტყობა ერდის გარდა, ინგუშეთში შველას კიდევ რამდენიმე ქართული წარმომავლობის ძეგლი თუ ნაეკლესიარი ელის: მაღი ერდი, გალ ერდი, დელიტე, ალბი ერდი და თარგემი.

**ზაზა წულაძე**

# „დაგეგმე მოგზაურობა საქართველოში“



**საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ CNN-მა მედიაპლატფორმაზე სტატიათა ციკლი გამოაქვეყნა. CNN-ზე სტატიები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში ვრცელდება.**

**თითოეულ სტატიას CNN-ზე ერთი სლოგანი აერთიანებთ – „დაგეგმე მოგზაურობა საქართველოში“. სტატიებში საქართველოს დაცული ტერიტორიები, ღვინო და სტუმართმოყვარეობა, იმერეთი, საქართველოს ზამთრის კურორტები და ზამთრის აქტივობებია აღწერილია.**

## საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეკოლოგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა

**„იმოგზაურე და შეისწავლა საქართველოს ველური ბუნება“ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მედია-პლატფორმაზე გამოქვეყნებულ სტატიაში ვაშლოვანის, ლაგოდეხის ნაკრძალები, ბორჯომ-ხარაგაულის, თუშეთის, თბილისის ეროვნული პარკები, ჯავახეთის დაცული ტერიტორია, ბათუმთან ახლოს მდებარე ფრინველებზე დაკვირვების ადგილია აღწერილი. „თუ გსურთ ბუნებაში ჩაფლობა და ევროპაში ყველაზე საოცარი ველური ბუნების პეიზაჟების აღმოჩენა საქართველოს უნდა ეწვიოთ. საქართველოს მიმართულებით 40 ავიაკომპანია ასრულებს პირდაპირ რეისს. აქ მოხვედრა და მოგზაურობა ასეთი ადვილი არასდროს ყოფილა“,** – წერია CNN-ის სტატიაში.



## ქართული ღვინო და სტუმართმოყვარეობა

**„თითოეული სტუმარი ღვთისგან გამოგზავნილი საჩუქარია, ასეთია ქართული გამონათქვამი, რაც კარგი პირობაა მოგზაურთათვის, რომლებიც ამ აღმოუჩენელ ტურისტულ მიმართულებას ეძებენ, ეს ფრაზა კი გამყარებულია შესანიშნავი კერძებითა და ღვინით. საქართველოში სტუმართმოყვარეობა ჩვევაზე მეტია. ეს ღრმა ტრადიციაა“,** – ასე იწყება სტატია ქართული ღვინისა და სამზარეულოს შესახებ.

სტატიაში მრავალფეროვანი ქართული კერძები, სუფრის ტრადიცია, თბილისის კვების ობიექტები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულო და ღვინის რვა ათასწლოვანი ისტორიაა წარმოდგენილი.

## იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, მღვიმეები, ვენახები და გამაჯანსაღებელი კურორტები – გზამკვლევი იმერეთში

**„იმერეთი სავსეა ღირსშესანიშნაობებით, ისტორიული ადგილებით დაწყებული ვენახებით დამთავრებული. იმერეთში მოგზაურობას უმრავლესობა ქუთაისიდან იწყებს, ერთ დროს საქართველოს დედაქალაქი ახლა მეორე ქალაქია, ქუთაისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში, ამ ტერიტორიაზე ადამიანი პირველად ასი ათასი წლის წინ დასახლდა. დღეს ქუთაისი ავიაკომპანია Wizz Air-ის სახლია და შედეგად ქუთაისი ევროპის მრავალ ქალაქს ადვილად უკავშირდება. ქუთაისში განვითარდა თანამედროვე კაფეები, რესტორნები და ღამის კლუბები“.**

სტატიაში აღწერილია ქუთაისი, ბაგრატის საკათედრო ტაძარი, გელათის მონასტერი კაცხის სვეტი, სათაფლია და პრომეთეს მღვიმე.

## საქართველოს საოცარი ზამთარი, გრძელი დღესასწაულები და ჯადოსნური ზამთარი

**„ზამთარს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბევრი დღესასწაული მოაქვს, მაგრამ საქართველოში დღესასწაულები უფრო ხანგრძლივია და ის თითქმის მთელი იანვარი გრძელდება. საქართველო საუკეთესო მიმართულებაა ზამთარში დასასვენებლად, საქართველოს სამთო კურორტები დამსვენებლებს ზამთრის სპორტის უამრავ სახეობას სთავაზობს“.**

სტატიაში აღწერილია გუდაური, სვანეთის სამთო კურორტები, თბილისის საახალწლო მორთულობა და რელიგიური დღესასწაულები, რომელსაც ზამთარში აღნიშნავენ.

## საქართველო – ზამთრის საოცრებათა ქვეყანა

**„ულამაზესი ტბების, მთებისა და ხეობების სამშობლო საქართველო ძირითადად ტურისტული რადარის მიღმა იყო, თუმცა ახლა მსოფლიო ეცნობა იმ შარმს, რაც საქართველოს აქვს. ქართველი ხალხი გატაცებულია ბუნების სილამაზის შენარჩუნებით, ამავდროულად ამაყობს თავისი ქვეყნის სილამაზით და მას მოგზაურებს უზიარებს. ქართველებმა შეძლეს და ბუნება დაიცვეს, გამოაცხადეს დაცულ ტერიტორიებად და ეროვნულ პარკებად, შედეგად ასობით ათასი ჰექტარი ველური ბუნება ხელშეუხებელი გადარჩა“. მესტია, გოდერძი, ბაკურიანი, ბორჯომი, გუდაური, სტეფანწმინდა – სტატიაში დეტალურად არის აღწერილი საქართველოს კურორტები, ჯავახეთის გაყინული ტბები და გურიის ტყე-პარკები.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ზამთრის მარკეტინგული კამპანია მსოფლიოს უდიდეს მედია და სამოგზაურო პლატფორმებს მოიცავს, როგორებიცაა **Conde Nast Traveler Global, Conde Nast Traveler Middle East, Time Out Magazine Middle East, Wego, CNN, National Geographic, Expedia, Vogue**.

კამპანიის ფარგლებში CNN-ზე გადის საქართველოს ზამთრის კურორტების ამსახველი ვიდეორგოლი. კამპანია მიმდინარეობს საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ისრაელში, პოლონეთში, ესტონეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, აშშ-ში. კამპანია ნოემბერში დაიწყო და იანვრის ბოლომდე გაგრძელდება.

# დღეს ბარბარობაა!



**17 დეკემბერს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ბარბარობას, ის ქართველი ხალხის დიდმოწამე, გამორჩეული, საყვარელი წმინდანია!**

**დიდმოწამე ბარბარეს გამორჩეულობა შესაძლოა მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოსაა ჩვენს ქართულ ხასიათთან.**

**...წმინდა ბარბარე მონათლა ალექსანდრიელმა ხუცესმა. გავიდა დრო და უსჯულოებმა ბარბარეს დასჯა გადაწყვიტეს. ის უფალს შევედრა, რომ ყველა, ვინც კი მის მოწამეობრივ აღსასრულს მოიხსენიებდა, დაცული ყოფილიყო უეცარი სიკვდილისგან... და ზეცით უცებ ხმა მოესმა, რომ მისი ლოცვა უფალმა შეიწყნარა. თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის (ზემო) ეკლესიაში დაცულია დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილი, რომელიც 1983 წელს კიევიდან ჩვენთან ჩამოაბრძანეს. განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ბავშვთა მფარველი წმინდანის ხსენებას საქართველოს ყველა კუთხესა და თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ქინძმარაულის, გურამიშვილისა და ჩიქოვანის ქუჩებზე მდებარე ტაძრებში...**

**დიდმოწამე ბარბარეს მოსახელეთ ვულოცავთ ბარბარობას!**

**გიული ლიპარტია**



# სეპარატისტთა უპერსპექტივო მიამიტობა

## აფხაზი ვეტერანები: ჩვენ არათუ ვთავაზობთ ხელისუფლებას, არამედ უკვე მოვითხოვთ საქართველოსთან ვაჭრობის დაკანონებას!

**ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები, რომელთაც სწამთ, რომ აფხაზეთის ყველა პრობლემის ძირი იმ კორუმპირებული ჩინოსნების განუსაზღვრელ ძალაუფლებაშია, რომლებმაც „ხალხს გამარჯვება მოპარეს“, გეგმავენ, პუტინს ადგილობრივი ეკონომიკის ჩრდილიდან გამოყვანაში დახმარება სთხოვონ.**

აფხაზეთში, რომელიც არცთუ ხშირად ხვდება რუსული მედიის ყურადღების ცენტრში და ისიც – მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში (მორიგ საარჩევნო სკანდალებთან, საპროტესტო აქციებთან, გახმაურებულ დაპატიმრებებთან და შეიარაღებულ გარჩევებთან დაკავშირებით), გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს, შეცვალონ წარმოდგენა რესპუბლიკაზე, როგორც „კორუფციისა და კრიმინალის ბუდეზე, რომელიც ტვირთად აწევს რუსეთს“. ნოემბრის ბოლოს საქართველოსთან 1992-93 წ.წ. ომის (რესპუბლიკაში მას „აფხაზი ხალხის სამამულო ომად“ მოიხსენიებენ – რედ.) ვეტერანთა ჯგუფმა გაავრცელა განცხადება იმის კონსტატაციით, რომ ბოლო თითქმის 30 წლის განმავლობაში ხელისუფლებას აფხაზეთის წინაშე მდგომი არცერთი პრობლემა არ გადაუწყვეტია და საბოლოოდ გაუცრუა იმედები მოქალაქეებს, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. განცხადების ავტორები შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზებს იმაში ხედავენ, რომ აფხაზეთის პატრონი სადღეისოდ არა ხალხია, რომელმაც დამპყრობელი დაამარცხა, არამედ უნამუსო კორუმპირებული ჩინოსნები, რომლებიც იმ ომის დროს რუსეთში ისხდნენ. ვითარების გამოსასწორებლად ვეტერანები, რომლებიც დღემდე პოლიტიკისგან ყოველმხრივ დისტანცირდებოდნენ, გეგმავენ, 2022 წლის დასაწყისშივე ჩამოაყალიბონ „სამამულო ომის ვეტერანთა გაერთიანებული საბჭო“, რომელშიც (და ეს ახალი მოძრაობის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია) შევლენ ქართველებთან ბრძოლების მონაწილეები არა მარტო აფხაზეთიდან, არამედ რუსეთიდანაც, რაც ამ მოძრაობას საერთაშორისო ხასიათს შესძენს. წარმატების შემთხვევაში პროექტი იქცევა „მესამე ძალად“ და გამოწვევად როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის, რომლებიც, ვეტერანების ხედვით, ერთი და იგივე გველეშაპის ორ თავს წარმოადგენენ.

იმას, თუ რატომ ერქმევა აფხაზი ვეტერანების მიერ ჩამოსაყალიბებელ საბჭოს „გაერთიანებული“, საინიციატივო ჯგუფის წევრი, წინააღმდეგობის რაზმის ყოფილი მეთაური ვიანორ აშბა განმარტავს:

**„როცა კრიტიკული ვითარება გვქონდა, დასახმარებლად ჩვენი ძმები მოვიდნენ რუსეთის სხვადასხვა ოლქებიდან, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის 170-მა რუსმა გაწირა თავი და ჩვენი რით გადავუხადეთ? – არაფრით! ამიტომაა ჩვენი საბჭო გაერთიანებული. ვთვლით, რომ ვინც აფხაზეთისთვის იომა, უნდა გაერთიანდეს ჩვენს მოძრაობაში, ჰქონდეს აფხაზეთის მოქალაქეობა და მიწის ნაკვეთი“.**

აფხაზეთის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოსთან ომის ვეტერანები – ისინი, ვინც შეაჩერა დამპყრობელი ჯერ სოხუმში, წითელ ხიდთან, ხოლო შემდეგ კბილებით იცავდა გუმისთას, ვინც იბრძოლა და გაიმარჯვა, დღეს პოლიტიკიდან მოსროლილია. ისინი არ არიან წარმოდგენილები მმართველობით სტრუქტურებში, სადაც ყველა წამყვან თანამდებობაზე ის პირები ან მათი შთამომავლები თუ ნათესავები სხედან, რომლებიც ქართველების შემოჭრის პირველივე წუთებში გაიქცნენ მოსკოვში, სოჭში, კრასნოდარში.

თუმცა ვეტერანები ამას ალბათ, როგორმე შეეგუებოდნენ, აფხაზეთის ამჟამინდელი – უომარი ხელმძღვანელობა რომ ეფექტური და პატიოსანი აღმოჩენილიყო. მაგრამ არა... ოჩამჩირის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი, ომის ვეტერანი გივი დოპუა ამბობს:

**„ჩვენი პირველი პრეზიდენტი ვლადისლავი (არძინბა – რედ.) „უაზიკით“ გადაადგილდებოდა, მხოლოდ მძღოლის თანხლებით, ყოველგვარი დაცვის გარეშე დადიოდა ბაზარში. ახლა კი ჩვენი ჩინოსნები ლიმუზინებითა და ბაიდენისაზე დიდი დაცვის თანხლებით მოძრაობენ! შეიარეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ან მთავრობის ნებისმიერ კაბინეტში: თითოეულში 40-მდე კაცი ზის და რითაა დაკავებული, გაუგებარია. აფხაზეთის შრომისუნარიანი მოსახლეობის 45%-ზე მეტი საბიუჯეტო სფეროშია დასაქმებული, მათი მცირე ნაწილი ექიმები და პედაგოგებია, ყველა დანარჩენი კი – ჩინოსანი! რაიმე მცირე სარგებელს მაინც იღებდეს მათგან რესპუბლიკა, მაგრამ არა! გასული ათწლეულების განმავლობაში ჩინოსნების ამ ჯარს აბსოლუტურად არაფერი შეუქმნია – არც ეკონომიკა, არც ჯანდაცვა, არც განათლება. არადა, მათი ლიმუზინების, დაცვის, აპარატისა და სხვა სიკეთეების შენახვა რესპუბლიკის ბიუჯეტს ძალიან ძვირად უჯდება“.**

მაინც რით არიან დაკავებულები ეს „თეთრი საყელოები“? „ლატაკ“ აფხაზეთში არსებობს უმთავრესად კრიმინალური ეკონომიკის რამდენიმე სექტორი, რომელსაც ძალუძს, მჭამელთა შეზღუდული რაოდენობა გამოკვებოს. ესაა საქართველოდან კონტრაბანდა, რომელიც რესპუბლიკას სამრეწველო საქონლის 40%-ით უზრუნველყოფს, იმავე საქართველოში აფხაზეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (თაფლი, ციტრუსები, თხილი) კონტრაბანდა, ასევე აქა-იქ შემორჩენილი სანიტარიულ-საკურორტო ობიექტები, რომლებსაც ამ დრომდე იყოფენ კონკურენტი კლანები. სწორედ ამ ეკონომიკური „ნამსხვრევებისთვისაა“ გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „პოლიტიკურ“ მეტოქეებს – ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომლებიც პერიოდულად ერთმანეთს ადგილებს უცვლიან. და ყოველ ამ სექტორს გააჩნია საკუთარი „მამა“ მთავრობაში, პარლამენტში და ა.შ.

ზოგადად კი, აფხაზური ჩრდილოვანი კომერციის მოცულობა წელიწადში 3-4 მლრდ რუბლად ფასდება, რაც პატარა ქვეყნისთვის კოლოსალური ოდენობაა.

და რა წინადადებები აქვს ვეტერანთა გაერთიანებულ საბჭოს?

აფხაზეთის პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე, ომის ვეტერანი ბენურ კვირაია ამბობს: **„ჩვენ არათუ ვთავაზობთ, არამედ უკვე მოვითხოვთ საქართველოსთან დე ფაქტოდ არსებული ვაჭრობის დაკანონებას. ქართული მხრიდან მომავალი საქონელი ოფიციალურად უნდა გადიოდეს საბაჟო გაფორმებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში წავა შემოსული თანხები არა კორუფციონერთა ჯიბეებში, არამედ რესპუბლიკის ბიუჯეტში.**

**ავიღოთ თუნდაც ელემენტარული – სამრეწველო და სხვა საქონლის გადაადგილება. კვირაიას თქმით, „ნებისმიერ საქონელს რუსეთიდან 13%-იანი დღგ ედება და ამას აფხაზური კანონმდებლობით, კიდევ 20%-იანი გადასახადი ემატება, ანუ ჯამში გამოდის უკვე 33%, რომელიც ჩანასახშივე კლავს რუსეთთან ვაჭრობის ჩამოყალიბების ნებისმიერ მცდელობას“.**

ამასთან, აფხაზური პროდუქციის გასაღების სხვა ლეგალური ბაზარი უბრალოდ არ არსებობს. მაგრამ როგორ აპირებს გაერთიანებული საბჭო ამ უმწვავესი ვითარების გადაჭრას?

– ვგეგმავთ, ხმა მივაწვდინოთ რუსეთის ხელმძღვანელობას, – ამბობენ ბენურ კვირაია, გივი დოპუა და ვიანორ აშბა, – გამორიცხულია, პუტინს ვერ გავაგონოთ. ყველა ქალაქსა და სოფელში სახალხო შეკრებებს გავმართავთ, ხელს მოვაწერთ რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართვას, რომელშიც ჩვენს კრიტიკულ სიტუაციას აღვწერთ. მთელი აფხაზი ხალხის, მთელი აფხაზეთის ხმის უგულებელყოფას პუტინი ვერ შეძლებს.

რაც შეეხება საკუთარ კორუფციონერებს, აქაც გაერთიანებული საბჭო გეგმავს, იმოქმედოს ღიად და გამჭვირვალედ. არავითარი პუტჩები, შეტაკებები და მთავრობის სახლის შტურმები. ამის ნაცვლად, კორუფციის, ჩინოსნების მიერ კონტრაბანდის მფარველობის, უკანონო საქმიანობის ყველა გამოვლენილი ფაქტის დაუყოვნებლივ განსაჯაროება.

– აფხაზეთი არ არის რუსეთი მისი გიგანტური ტერიტორიითა და დროის 11 სარტყელით, – ამბობს გივი დოპუა, – ჩვენთან ყველაფერი ისეა, როგორც ხელისგულზე. მაგრამ თუ ადრე ხმას არ ვიღებდით, ახლა ხალხის მოთმინების ფიალა გადაივსო.

**გულწრფელად რომ ვთქვა, არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ვეტერანები აფხაზეთში ვითარების გარდატეხას. მეტისმეტად არიან ძალოვანების, საკუთარი კლანებისა და რუსეთის მფარველობით მოსარგებლე სისხლისმწოველები ჩაფრენილები მსუყე ადგილებს. იმ ადამიანების გულწრფელი ჟინი, რომლებიც თავის დროზე აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მათი სწრაფვა, მიაღწიონ სამართლიანობას, დღეს ბევრს უპერსპექტივო მიამიტობად ეჩვენება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აფხაზეთი განსაკუთრებული მიწაა, ღმერთის მფარველობით მოსარგებლე ადგილი და აქ სასწაულებიც ხდება. 1993-ში აფხაზებმა ქართული საბრძოლო მანქანა ხერხემალში გადატეხეს, შემდეგ გაუძლეს ელცინისა და კოზირევის მიერ მოწყობილ ბლოკადას. ეგებ დღეს შიდა ეზოშიც მოახერხონ წესრიგის დამყარება. ვნახოთ.**

**წყარო: „НАРПОЛИТ“**

**ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, ოკუპირებულ აფხაზეთში რომ გამოიყენება**

## რუსეთი უკრაინას ევროპული ღირებულებების გამო ებრძვის...



**„ვიდრე ჩვენ ვსაუბრობთ, 100 000 რუსი სამხედრო უკრაინის საზღვართანაა კონცენტრირებული. მოსალოდნელია, რომ მათი რიცხვი მკვეთრად გაიზრდება. მათ, ვინც პუტინს იცნობენ, იციან, რომ შობის მოახლოება განსაკუთრებით საშიში პერიოდია. ამიტომ ჩვენ უნდა დავრჩეთ ფხიზლად და მტკიცედ. უკრაინა იმიტომ კი არ არის რუსეთის სამიზნე, რომ საფრთხეს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ მისი მოსახლეობა ევროპულ ღირებულებებს მხარს უჭერს. ისინი ბედავენ, იყვნენ თავისუფალნი და სურთ თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი. კრემლს არაფერი აშინებს ისე, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო მის საზღვრებთან. დროა, ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ კბილები გამოაჩინოს და მჩაგვრელებს მათთვის გასაგებ ენაზე ვესაუბროთ – მკაცრი სანქციების ენაზე“,** – აღნიშნა ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა.

## დამნაშავე მხარეს დიდი ფასის გადახდა მოუწევს!



**გვქონდა შესაძლებლობა, დაგვედასტურებინა ჩვენი მხარდაჭერა უკრაინისთვის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ,** – ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დასრულების შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„ევროპული საბჭოს სხდომა დაუბრუნდება ამ საკითხს და განაცხადებს ყველა პარტნიორთან ერთად, ნატოსა და დიდ შვიდეულთან, აშშ-ის, გაერთიანებულ სამეფოსა და კანადასთან ერთად, რომ უკრაინის მიმართ სამხედრო აგრესიას მტკიცე რეაგირება მოჰყვება და დიდი ფასის გადახდა მოუწევს ამ აგრესიაში დამნაშავე მხარეს“,** – განაცხადა მიშელმა.

## ჟირინოვსკი ომს ოლიმპიადისთვის გეგმავს



**რუსული მედიის ინფორმაციით, ლიბერალურ დემოკრატიული პარტიის ლიდერ ვლადიმერ ჟირინოვსკი აცხადებს, რომ 2022 წლის თებერვალში დონბასში მასშტაბური სამხედრო მოქმედებები დაიწყება რუსული არმიის მონაწილეობით.** მისი თქმით, ეს კონფლიქტი ზამთრის ოლიმპიადის დროს მოხდება. აღნიშნული განცხადება სკანდალურმა პოლიტიკოსმა ЛДПР ТВ-ს ეთერში გააკეთა.

**„ჩვენი მიზანი დონბასის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაა, უკრაინის არმია უნდა გავაძევოთ დონბასიდან. კიევზე წასვლა საჭირო არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს ეს შეუძლია“,** – აცხადებს ჟირინოვსკი. გარდა ამისა, რუსმა პოლიტიკოსმა კრემლს მოუწოდა დასავლეთს მკაცრი ულტიმატუმი წაუყენოს. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს კრემლმა საქართველოსთან ომი სწორედ ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს დაიწყო.

# გრიგოლ შონია: ღალატის დაბრალება ბოროტებაა!

## მრავლისმომსწრე ქართველის პოზიცია



**სახელმწიფოს მართვა ყველა (ხაზს ვუსვამ) მოქალაქის უფლებაცაა და მოვალეობაც და არავის აქვს ამ უფლების წართმევის უფლება.**

**თუ მთავრობა ხარ, ვალდებულიცა ხარ, უზრუნველყო ჩემი ამ უფლების განხორციელება.**

**ნეტავ რა სარგებელი მიიღეს ჩვენში განახლებისთვის მებრძოლმა პარტიებმა და მთავრობებმა, როდესაც მიზნად დაისახეს ყოფილი საბჭოთა სისტემის მუშაკების განურჩევლად სახელმწიფო მართვისაგან ჩამოშორება.**

**იცი, პატიმრებს ძველად (ეს სიტყვა არ მომწონს, შეიძლება ვთქვა, ჩემს დროს-მეთქი) ყველაზე უფრო რა მოსწონდათ? მიმართვა – „ნუ ი ჩტო, ი ვი ნაში სოვეტსკიე ლიუდი“.**

**ე.ი. შენც ჩვენნაირი ხარ, ერთი ჯიშის და გენის, და რომ მათი მდგომარეობა დროებითია, არანორმალური გარემოებებით გამოწვეული.**

ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობაში მთავარი როლი მის მიერ კომუნისტების (მათ არჩევნებზე მოსახლეობის 33%-მა მისცა ხმა) ქვეყნის მართვიდან ჩამოშორებამ ითამაშა. მავანი იტყვის, თუ არ მოიშორებდა, მაშინ მაგას მოიშორებდნენო.

მაგრამ პოლიტიკურ სინამდვილეში მთავრობის ცვლა ხომ ბუნებრივი წესია და მას უნდა შეეგუო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლშევიკებმა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ არათუ გამოიყენეს მეფის რუსეთის სამსახურში მყოფი პროფესიონალი და გამოცდილი კადრები, არამედ მათი უშუალო მონაწილეობით აღადგინეს დანგრეული სახალხო მეურნეობა და შექმნეს ძლიერი სამხედრო (იმდროინდელი გაგებით) სტრუქტურა, სხვანაირად არ შეიძლებოდა ძლიერი სახელმწიფოს ასეთ მოკლე ვადებში შექმნა.

წააგეს რამე მაშინ ბოლშევიკებმა, რომ ნდობა გამოუცხადეს ძველ, იდეოლოგიურად ახალი სახელმწიფოსთვის მოუმზადებელ კადრებს?

დასკვნა ასეთია: ეს იყო რეალობით გამოწვეული აუცილებლობა უფსკრულის პირას მდგომი, დასაღუპავად გამზადებული სახელმწიფოს გადასარჩენად.

მართალია, საბოლოოდ ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ „ძველ კადრებს“, რომელთა უმრავლესობასაც რეპრესიებმა მოუღეს ბოლო, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა და მის განხილვას აქ ვერ შევუდგებით, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბოლშევიკები ზნეობასთან მწყრალად იყვნენ, ადამიანის პრობლემას ერთბაშად წყვეტდნენ: არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა, და სახელმწიფო ტერორის ეს საფუძველი მათ ბოლომდე შემორჩათ.

ისე კი, ხომ შეიძლებოდა პრობლემის უფრო ჭკვიანურად გადაწყვეტა, რომ ყველა ყველას არ დაპირისპირებოდა.

არც დღეს აქვს ვინმეს უფლება, ჩემი წარსულის გამო ზურგი მაქციოს, ჩამომაშოროს ცხოვრებას (სიკვდილის ტოლფასია). თუმცა ჩვენი რიგები, დროისა და სხვა ფაქტორების ზეწოლით დღეს საგრძნობლადაა შესუსტებული.

როგორ გგონიათ, ჩემს თაობას არ უნდოდა საქართველოს თავისუფლება?

ვის აქვს დღეს უფლება, მომაყენოს შეურაცხყოფა და ქვეყნის, ჩემი ქართული სახელმწიფოს ორგულობაში დამდოს ბრალი?

მე, დედაჩემის – მარიამ ჯორბენაძის შვილს, რომლის ანკარა ქართული დღესაც ციურ ნანასავით ჩამესმის,

და მამაჩემის – გრიგოლ შონიას შვილს, რომელიც, 23 წლის ახალგაზრდა კაცი, ქვეყანას და ხალხს შეიარაღებული აჯანყებისკენ მოუწოდებდა, მეტეხის ციხეში ჯალათების ხელში იტანჯებოდა და თავის განაჩენს ელოდებოდა.

ან მე რა პრეტენზიას მიყენებ კაცს, რომელმაც, სამხედრო სასწავლებლის ბოლო კურსის ფრიადოსანმა კურსანტმა, ხმა ავიმაღლე სამხედრო სასწავლებელში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ და პატაკით: „Не хочу быть советским офицером!“ დავტოვე აღნიშნული სამხედრო დაწესებულება.

მაგრამ, როგორც იტყვიან, არ მინდა, ბატონო, მე მხოლოდ ჩემი ქვეყნის სამსახური მსურს.

ეს, რაც შემეხება მე, ჩემისთანები ხომ ბევრია ამ ქვეყანაზე, მე ვარ ერთი, ჩემისთანები კი არა, უფრო მაგრები, რამდენიც გინდა, იმდენია... მაგრამ გამოუყენებელი, დღეისათვის უსარგებლო.

შემდგომში კი, ჯერ სამძებრო მთავარი სამმართველოს, შემდეგ კი ქალაქის მილიციის უფროსი, უყოყმანოდ ჩავდექი პირველი ქართული სახელმწიფოს სამსახურში და წუთითაც არ მიღალატია მისთვის, ზურგი არ შემიქცევია, გულში არ გამივლია წყენა იმ უსამართლობისთვის, რომელიც მაშინ ჩემს მიმართ გამოიჩინეს, ბოლომდე დავრჩი მისი ერთგული და არ გადავბარგებულვარ ამბოხებულთა ბანაკში.

ეს იმიტომ, რომ თავისუფალი საქართველო ჩემი და ბევრი ჩემი მეგობრის მიზანი და ოცნება იყო, მაგრამ, საუბედუროდ, წარმოდგენაც არ გვქონდა იმ სირთულეებზე, რომლებიც თავისუფალი საქართველოსთვის ბრძოლას გადაულახავ წინააღმდეგობად წინ ედგა.

როგორ გგონიათ, პირველი პარლამენტის მიერ მიღებული თავისუფლების ქარტია მარტო „მრგვალი მაგიდა – საქართველოსა“ და „სახალხო ფრონტის“ წევრებმა მიიტანეს გულთან და დანარჩენები, თუნდაც კომუნისტები და ყოფილი სახელმწიფოს ხელმძღვანელები, მას თვალთმაქცურად აწერდნენ ხელს? ნურას უკაცრავად, ეს ყოველთა ქართველთა მიზანი იყო. ოღონდ ესაა, რომ მის განხორციელებასთან ყველა ერთი გზით როდი მივიდა. მე ვარ მოწმე, თუ როგორი სიამაყით და სათუთად ინახავენ მისი ხელმომწერნი ამ დოკუმენტს დღესაც.

**დღეს კი რა ხდება? თურმე ჩვენ (მე და ჩემს თაობას) არა გვაქვს უფლება, ვმართოთ სახელმწიფო. და ამის მოთავენი გამოდიან მავანნი, რომლებიც არ ვიცი, რა ეპითეტებით არ გვამკობენ. წლები კი მიქრიან, გაფიქრებასაც ვერ ასწრებ, თუ სად წავიდნენ, გაქრა და დაიმარხა საუკეთესო წლები, უფრო მეტიც, გვიცხოვრია კი საერთოდ და თუ ვიცხოვრეთ, რისთვის, რომ წლების მატებასთან ერთად დაგვემსახურებინა მარტოობა, რაც დამოკლეს მახვილივით გვადგას თავს და...**

მოკლედ, მძიმე დღეები უდგას დღეს ჩემს თაობას.

მე, უკვე 80 წელს გადაცილებულ ადამიანს, არა მაქვს არავითარი სურვილი სახელმწიფო სტრუქტურის რაიმე საფეხურზე მუშაობისა, ეს მთელი ტვირთი ახალგაზრდებისთვის დამითმია, მათ ხომ ეს თავისი ასაკის დამსახურებით მიიღეს და ღმერთმა კარგად შეასრულებინოთ. მაგრამ მე და ჩემისთანებს რას გვერჩით, ცოტა ჩვენც მოგვისმინეთ, თუ არასწორ გზაზე მიგვითითებთ, ამაზე იოლი დასანახი რა იქნება, თუ არადა, მოგვეცით საშუალება, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის – სახელმწიფოს მართვაში. ამისათვის გარკვეული ფორმების მონახვა არ იქნება ძნელი. დღეს საზოგადოებაში სულ უფრო მატულობს ხანდაზმულთა რიცხვი, იზრდება ე.წ. პენსიონერთა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, რაც საბოლოოდ ამავე საზოგადოებას მძიმე ტვირთად დააწვება, თუ არადა, საკითხის გადაჭრა, რასაკვირველია, რთულია, მაგრამ არცთუ შეუძლებელი. ხანდაზმულთა საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში ჩასაბმელად ათასნაირი ფორმები მოინახება.

საქართველოში ხომ ოდითგან ყურად იღებდნენ ხანდაზმული, ცხოვრების გამოცდილების მქონე, ათას ჭირვარამგამოვლილი ადამიანების აზრს, უხუცესთა სიტყვას ფასი ჰქონდა, საზოგადოება მას იზიარებდა, განსაკუთრებით ძნელბედობის ჟამს, სერიოზული დილემების თუ პრობლემების გადაწყვეტისას.

**სახელმწიფოს მშენებლობასა და მოწყობაში ბილწსიტყვაობა კი არა, საქმეა საჭირო. მე უფრო მგონია, რომ პოლიტიკოსები (შესაძლოა, ადამიანები ზოგადად) ხშირად ლაპარაკობენ დაუფიქრებლად, ისე, რომ ნათქვამი გულთან არ მიაქვთ. ეს დასანანია, მაგრამ ფაქტია.**

დღეს პოლიტიკური პროცესების ახალი იმპულსები აშკარაა. იგრძნობა ადამიანთა აქტივობა, მაგრამ ხშირად მოვლენებისადმი მიკერძოებული მიდგომა, ცალმხრივობა გამაოგნებელია.

მიკვირს, როდესაც მავანი ამერიკის დიქტატზე ლაპარაკობს, უბრალოდ, რატომ არ ახსენდება რუსული ოკუპაცია და რატომ უჭირს სინამდვილეზე თვალების გახელა?!

**ცხადზე უცხადესია, რომ დღეს ამერიკა გაძლევს რჩევებს, ხელს გიწვდის და გეხმარება სირთულეების დაძლევაში და ნუ დამძრახავთ, თუ ვიტყვი, რომ ის ღმერთმა მოგვივლინა მფარველად და შენც მოიხმარე ეს შესაძლებლობა.**

**თუ რუსეთს რა ამოძრავებს საქართველოს მიმართ, მასთან ორასწლიანმა ურთიერთობამ და უკანასკნელმა 1992-2008 წლების ომმა განა არ დაგვიდასტურა და მოდი, თავს ნუ მოვიტყუებთ და ისევ ნუ გავყოფთ თავს ლომის ხახაში, და ვეძებოთ გზები რუსეთთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ურთიერთნდობის გარემოს შესაქმნელად. ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ ხომ შემოგვრჩა პოზიტივი ამ კუთხით. ნუთუ არაა შესაძლებელი ურთიერთობის განვითარება ერთმანეთის ინტერესების დაცვით, რომ კმარა ერთმანეთისთვის მტრად გამოკიდება. და კიდევ ერთი, უნდა ვიპოვოთ გამოსავალი, რომ დავიცვათ ჩვენი თავისთავადობა ისე, რომ არ შევეწიროთ მსოფლიო ძალთა დაპირისპირებას, როგორც ეს არცთუ იშვიათად ხდებოდა წარსულში.**

მე, როგორც ერთ ადამიანს, მაწუხებს და მაფიქრებს სიღატაკისა და ძალადობის შიში. მე ხმამაღლა ვაცხადებ, როგორც არ უნდა მოგწონდეს მთავრობა, იმას ხომ ვერ გავექცევით, რომ შევარდნაძის პენსია ცხრა ლარს არ სცილდებოდა; ან რატომ გვავიწყდება ქვეყანაში არნახულად აღზევებული კრიმინალი, როდესაც ლამის მთელი საზოგადოება ქურდების კანონებით ცხოვრობდა, როდესაც ყველა მთავრობა უსუსური იყო მასთან ბრძოლაში და ქურდებთან ბრძოლა თავგამოდებული რამდენიმე „დონკიხოტი“ მილიციელის ზურგზე გადადიოდა. ის კი არა, ზოგიერთ მავანს, განსაკუთრებით უუფლებობის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, დღესაც ნოსტალგიურად წამოსცდება ხოლმე „კანონიერი ქურდების“ დასაცავი სიტყვები.

ან კიდევ, რატომ გვავიწყდება საქართველოს გზებზე გამეფებული ყაჩაღობა, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე, და როგორ განიცდიდა მავანი საგზაო პატრულის გამოჩენას, „რა გვეშველება, „გაი“ რომ არ გვეყოლებაო“. მერე რა მოხდა? მივიღეთ თუ არა განსაკუთრებული საგზაო პოლიცია, მიუხედავად რიგი გადაცდომებისა, არის თუ არა წესრიგი გზებზე, ტრასებზე. ჩემი თუ არ გჯერა, მძღოლებს ჰკითხე – ქართველებსაც და მეზობელი ქვეყნებისასაც.

კიდევ ერთი, ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი. ბევრს მოდად აქვს გადაქცეული მთავრობის კრიტიკა ცხინვალის ამბებთან დაკავშირებით. მე რატომღაც მგონია, რომ ცხინვალის მოვლენების ჩვენს მხარეზე გადაბრალება საბაბია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დასამცრობად. ზოგი გონდაბნელებული, ძველი ნოსტალგიით შეპყრობილი, რუსეთის აგრესიის გამართლების სხვა გზას ვერ ხედავს გარდა იმისა, რომ უტიფრად გვიმტკიცოს, ომი ჩვენი ბრალია და რუსებს რას ვერჩითო.

ტეხენ რა ხმაურს აგვისტოს ამბებზე, არაფერს ამბობენ აფხაზეთის ეპოპეაზე, ქართველებისა და აფხაზების იმ ტრაგედიაზე, რომლის აცილება თავის დროზე აშკარად შეიძლებოდა. აფხაზეთის ომის მარტო კიტოვანზე გადაბრალება არასერიოზულია. რატომ არ მოვკითხავთ ამაზე მაშინდელ პოლიტიკურ ელიტას, არ ვასამართლებთ მას? ან რატომ არ ვართ თანმიმდევრულნი, რომ გავაგებინოთ აფხაზებს, თუ რა უფსკრულში გადაისროლა ისინი არძინბამ და რუსეთისგან მოსყიდულმა თუ მძიმე შეცდომაში შეყვანილმა აფხაზმა ლიდერებმა (თუმცა ამაში არც ჩვენი ლიდერები ჩამორჩებოდნენ!), რომლებმაც არაფერი დაიშურეს, რომ ერთმანეთზე გადაეკიდებინათ და შემდეგ კი დაეშორებინათ ოდითგან მეგობარი აფხაზები და ქართველები.

**ნუთუ არ დადგა დრო, სიმართლეს გავუსწოროთ თვალი. თუ საზოგადოებაში ტყუილმართლის დადგენის საშუალება არ იარსებებს, ეს ცალკეულ ადამიანთა კი არა, მთელი ქვეყნის ტრაგედიაა. თუ ვინმე არის რუსეთის თუ სხვა ქვეყნის აგენტი, ეს დანაშაულია და უმკაცრესი სასჯელით უნდა დაისაჯოს, მაგრამ ადამიანს უსაფუძვლოდ ქვეყნის ღალატი დააბრალო – ყველაზე დიდი ბოროტებაა და ეს ხომ ქართველებისთვის კარგადაა ცნობილი. ნუთუ ისევ გვინდა დავუბრუნდეთ იმ დროს, როდესაც ყველა ყველას მტერი იყო და ყველამ ისევ ამ უსამართლობის ხარჯზე ვიცხოვროთ.**

**გამიგონია, „ესა და ეს მოკლეს ბოლშევიკებმა (იგულისხმე მაუზერისტები, ჩეკისტები და ა.შ.), ხოლო მავანმა მათთან თანამშრომლობით (ბევრმაც შიშით) თვითონვე ჩაკლა თავისი თავი“.**

**საქვეყნოდ ვაცხადებ ჩემი თაობის სახელით: მე მე ვარ, განუმეორებელი, ჩემი ხანდაზმულობის მიუხედავად არ მინდა, ვიგრძნო თავი წარმავალად და მოდით, ბატონებო, ქვეყნის საკეთილდღეოდ თუ არ გამოგვიყენებთ, ნურც საძაგებლად გადაგვაქცევთ. ჩვენ ისედაც ამ ქვეყნის, მისი თავისუფლებისთვის თავგადადებული თაობა ვიყავით და დავრჩებით, სანამ პირში სული გვიდგას.**

**ტ. 599974644**

# ლაშა ხუციშვილი „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკაზე...



**„ძირითადად ჯარის, პოლიციის, მასწავლებლების და სასწრაფო სამედიცინო პერსონალის ხელფასების ზრდა ხდება“,** – ასე უპასუხა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა ოპოზიციონერ დეპუტატს ალეკო ელისაშვილს საქართველოს პარლამენტში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიის განხილვისას.

როგორც მან აღნიშნა, 2013-2014 წლებში საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორში არსებული საშუალო ხელფასის 90%-ზე მეტი იყო. ხუციშვილის თქმით, 2014 წლის შემდგომ, კერძო სექტორში საშუალო ხელფასის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო საჯარო სექტორში ხელფასების ზრდას, შედეგად, 2020 წლის მდგომარეობით, საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორის 80%-ზე დაბალია.

**„თუ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, საშუალო ხელფასის ზრდის დინამიკას გავაანალიზებთ, მოსალოდნელია, რომ 2021 წლის ბოლოს, საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორში არსებულის 75 პროცენტზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდეს. აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში, ძირითადად, გაიზარდა ჯარის, პოლიციისა და მასწავლებელთა ხელფასები, ხოლო სხვა საჯარო დაწესებულებებში ზრდა თითქმის არ ყოფილა. თუ ჯარის, პოლიციისა და მასწავლებლების ხელფასების ზრდის ეფექტს გამოვაკლებთ, 2020 წელს საჯარო სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სექტორის 71%-ია“,** – განმარტა ხუციშვილმა.

**„ადრე „ქართული ოცნება“ ბიუჯეტის განხილვის დროს ახსენებდა ხოლმე ტერმინს „ქამრების შემოჭერა“, ახლა ეს აღარც ისმის, ლექსიკაშიც აღარ არის. ამ ბიუჯეტში თქვენ სად ხედავთ „შემოჭერილ ქამრებს“... ამ ქვეყანაში ხალხს ისეთი შემოჭერილი აქვს ქამრები, წელში წყდება და ბიუროკრატიას, მთავრობას „ქამრების შემოჭერის“ არაფერი ეტყობა“,** – მიმართა ალეკო ელისაშვილმა ფინანსთა მინისტრს.

**აღსანიშნავია, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად განისაზღვრება საბაზო თანამდებობრივი სარგო, რაზეც მრავლდება თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი და შესაბამისად განისაზღვრება საჯარო მოხელის ყოველთვიური ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ საბაზო თანამდებობრივი სარგო 2017 წელს განისაზღვრა 1000 ლარის ოდენობით და მას შემდეგ არ შეცვლილა. წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით იზრდება საბაზო თანამდებობრივი სარგო და 1000 ლარის ნაცვლად განსაზღვრულია 1100 ლარის ოდენობით.**

ახალი პროექტი

# ფაჩულიას სამმილიონიანი სიკეთე



**ზაზა ფაჩულიას სახელობის კალათბურთის აკადემიაში მისივე ინიციატივით ინდივიდუალური მომზადების დარბაზი გაიხსნა. სპორტის ვარსკვლავმა აღნიშნული თაოსნობის განსახორციელებლად 3 მილიონი ლარის ინვესტიცია გაიღო.**

„შუთ 360" ამერიკული პროექტია, საქართველო კი პირველი ევროპული ქვეყანაა, სადაც მისი ფილიალი შეუდგა საქმიანობას.

რაც შეეხება პროგრამის უშუალო დანიშნულებას, მოთამაშე მაღალტექნოლოგიურად აღჭურვილ დარბაზში ინდივიდუალური უნარების განვითარებას შეძლებს.

ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი** და ამერიკის ელჩი საქართველოში **კელი დეგნანი**.

„შუთ 360" ტექნოლოგიით ვარჯიშობს ყოველდღე ნბა-ს ახალი რეკორდსმენი სამქულიანებში სტეფ კარი", — დასძინა ზაზა ფაჩულიამ.

* * *

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის პირველი წრის ფინიშზე ცსკა-მ შინ მძიმე მარცხი იწვნია ყაზანის „უნიქსისგან" — 67:88.**

ჩვენთვის დადებითი ის გახლავთ, რომ პარტნიორთაგან საუკეთესოდ ითამაშა მასპინძელთა ქართველმა ლეგიონერმა **თორნიკე შენგელიამ** — 20 ქულა, 6 მოხსნა.

არმიელები 9 მოგებითა და 6 წაგებით მეექვსე ადგილზე არიან, მეორე წრის სტარტზე კი 22 დეკემბერს ბერლინში „ალბას" ეწვევიან.

წყალბურთი

# შეზღუდული რესურსებით

**თუ სპორტის რომელიმე სახეობაზე შეიძლება ითქვას, რომ პრიორიტეტული მიმართულებააო, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი წყალბურთია.**

ეროვნულ ნაკრებს რომ თავი დავანებოთ, რომელმაც რამდენჯერმე უკვე ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და კინაღამ ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიასაც გამოჰკრა ხელი, თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის სტაბილურ მონაწილედ ყალიბდება და თანდათან წარმატებებსაც, თუნდაც ლოკალურს, უნდა მიგვაჩვიოს.



ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბელგრადში „რადნიჩკისთან" გამართული ჯგუფური რაუნდის მეხუთე ტურის მატჩის შედეგს, რადგან აქამდე სერბული კლუბიც მოუგებლად ასპარეზობდა — მხოლოდ ერთი შეხვედრა ჰქონდა ფრედ დასრულებული.

დაგვეთანხმებით, ნავსის გასატეხად ფავორიტებით დახუნძლული სიკვდილის ჯგუფის ბინადარ ჩვენს გუნდს უკეთეს მეტოქეს ვერ ვუპოვიდით, მაგრამ ამჯერადაც დადასტურდა, რომ კვალიფიციურ ლეგიონერთა სიმრავლეც კი ელიტაში ღირსეულად წარმოსაჩენად საკმარისი არაა და პროგრესს მეთოდურად, წინასწარ გაწერილი სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად უნდა მივაღწიოთ, სადაც ჰარმონიულად ითანამშრომლებენ ოფიციალური სტრუქტურები და კერძო სექტორი.

**„რადნიჩკი" — „დინამო" 14:7**

**გოლები:** მაგრაქველიძე (2), იმნაიშვილი, ადეიშვილი, ელაჩა, სარიჩი, ვასიჩი („დინამო").

22 დეკემბერს თბილისელები „ოლიმპიკის" აუზში „ნოვი ბელგრადს" უმასპინძლებენ და მათ, სავარაუდოდ, ანდრია ბითაძე დაუბრუნდებათ.

გამოიცა

# დედაენის ქომაგის სამაგიდო წიგნი

**დიდი ფუფუნებაა თანამშრომლობდე ისეთ თხემით ტერფამდე მოქართულესთან, როგორიც სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვაჟა დანელიაა.**

ჩვენს ძვირფას კოლეგას ბევრი ათენის ოლიმპიადაზე დაღვრილი სიხარულის ისტორიული ცრემლებით იცნობს, მაგრამ წიგნიერ თანამემამულეთათვის მასობრივი კომუნიკაცია — ჟურნალისტიკის აკადემიური დოქტორი, უპირველესად, მუდამ დედა ენის სიღრმეების ფუტკარივით მაძიებელ მკვლევარს წარმოადგენს.

დარწმუნებულნი ვართ, მადლიერი მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა ხელხვავრიელი ავტორის ახალ ნაღვაწს — „სპორტის ჟურნალისტიკის საკითხები", რომელიც დარგობრივი ენისა და სტილის (უფრო ლექსიკა — ფრაზეოლოგიისა და ტერმინოლოგიის მართლწერა — მართლმეტყველების) ნიუანსებსა და მათს ეტიმოლოგიურ ძიებებს შეიცავს.




განხილულ თემათა კვლევით შემზადებულია ერთგვარი საფუძველი ქართული სპორტის ტერმინოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონების შესაქმნელად, რომელთა საჭიროება განსაკუთრებით ახლა — გლობალიზმით გამოწვეულ ლინგვისტურ მოვლენათა სიჭრელის ვითარებაში იგრძნობა.

სპორტი თავისი არსით განსაკუთრებული ფენომენია, ადამიანის არსებობის უძირითადესი პირობის — ჯობნის, ძლევისა და ამ გზით სახეობრივ-ჯიშობრივი არსებობის შენარჩუნების ფიზიკურ (სხეულებრივი) — ინტელექტუალური ძალისხმევის დემონსტრირებაა.

ამიტომაც არის სპორტი ადამიანის არსებობის იმთავითური და მარადიული თანამგზავრი და პოპულარობით სწორუპოვარი, ამიტომაც არის, რომ სპორტი რთული სამყაროა და კიდევ უფრო რთულია მასზე წერა.

შემოთავაზებული წიგნი, ფორმალურად, სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებისა და სტატიებისგან შედგება. სხვადასხვაა მათი თემატიკა — პრობლემატიკაც, თუმცა მათ აერთიანებს განხილულ საკითხთა ავტორისეული ხედვა — კონცეპტუალიზმი.

იგი ცნობილი ჟურნალისტია, დიდი ხანია წერს ქართული სპორტის ისტორიის, დარგობრივი ენის, ტერმინოლოგიის, ეტიმოლოგიის საკითხებზე. მას ჰყავს თავისი მკითხველი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ვაჟა დანელიამ უკვე თქვა თავისი სათქმელი და დაიმკვიდრა ადგილი ქართული სპორტის ჟურნალისტიკაში.

წოდება

# ლუის ჰემილტონს რაინდობა უბოძეს



**მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ლუის ჰემილტონი ოფიციალურად აკურთხეს რაინდად. საპატიო წოდება, რომელიც სპორტში მიღწეული წარმატებებისა და საზოგადოებრივი აქტივობებისთვის დაიმსახურა, მან პრინც ჩარლზისგან უინძორის სასახლეში მიიღო.**

36 წლის ჰემილტონს ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონის შვიდი ტიტული აქვს მოპოვებული, იმდენივე, რამდენიც მიხაელ შუმახერს. გარდა ამისა, 103 რბოლა მოიგო და პოულზეც 103-ჯერ იდგა. აქვს სხვა რეკორდებიც.

ჰემილტონი ფორმულა 1-ის მეოთხე მრბოლია, ვინც რაინდის წოდება დაიმსახურა. მის გარდა, ეს წოდება მიღებული აქვთ ჯეკ ბრებჰემს, სტირლინგ მოსსა და ჯეკი სტიუარტს, ოღონდ ის არის ერთადერთი, ვინც რაინდი მანამ გახდა, სანამ კარიერას დაასრულებდა.

სხვა სპორტსმენები, რომლებმაც სპორტიდან წასვლამდე მიიღეს ეს წოდება, არიან: ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი ბრედლი ვიგინსი, 5 000 და 10 000 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ჩემპიონი მო ფარა, უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი ენდი მარი და კრიკეტში ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ალისტერ კუკი.

ხუთი რგოლი

# მდინარეზე — პირველად

**2024 წლის პარიზის ზაფხულის ოლიმპიადა უჩვეულოდ გაიხსნება. კერძოდ, 26 ივლისს შოუ მდინარე სენას დინების მიმართულებით გაიმართება ექვსი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. თვით ცერემონია სტარტს ბოტანიკური ბაღის წინ აუსტერლიცის ხიდიდან აიღებს და ორ კუნძულს — ილ სენ ლუისა და სიტეს შემოივლის, თანაც ბევრ ხიდს გაივლის.**

მარშრუტი ტროკადეროს მოედნის წინ დასრულდება, სადაც ფინალური სანახაობა და ოფიციალური ღონისძიებები მოეწყობა.

რაც შეეხება თამაშებს, იგი 11 აგვისტოს დამთავრდება.




# საფეხბურთო მოზაიკა

**მარადონას თასის პირველ გათამაშებას საუდის არაბეთის ქალაქმა ერ-რიადმა უმასპინძლა და იგი ლეგენდარული არგენტინელის წლისთავს მიეძღვნა.**

ფეხბურთის ღმერთის ყოფილმა კლუბებმა — „ბარსელონამ" და „ბოკა ხუნიორსმა" ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დაასრულეს, ხოლო პენალტების სერია უკეთ სამხრეთამერიკელებმა შეასრულეს — 4:2.

აღსანიშნავია, რომ კატალონიაში ხუთწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნებულმა დანი ალვეშმა პირველად მოირგო „ბლაუგრანას" მაისური.

გაირკვა აგრეთვე, რომ „ნოუ კამპის" ბინადრები სერიოზულად ზრუნავენ გასაძლიერებლად და უკვე ცდილობენ ჰალანდის („დორტმუნდი"), მაზრაუის („აიაქსი"), ასპილიკუეტას, რიუდიგერისა და პულიშიჩის („ჩელსი") გადაბირებას.

* * *

**პაულო დიბალასთვის სეზონი დასრულდა. მიზეზი ის ტრავმაა, რომელიც „იუვენტუსის" 28 წლის არგენტინელმა ლიდერმა „ვენეციასთან" მატჩში მიიღო და დაახლოებით 1 თვე იუქმებს.**

მან წლეულს ყველა ტურნირზე 17 შეხვედრაში 8 ბურთი გაიტანა და ოთხი შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

* * *

**ლონდონის „არსენალის" 32 წლის გაბონელ ლეგიონერს პიერ-ემერიკ ობამეიანგს გუნდის კაპიტნობა ჩამოერთვა.** როგორც კლუბის განცხადებაში წერია, ამის მიზეზი დისციპლინის დარღვევა გახდა. მიმდინარე სეზონში აფრიკელმა 15 თამაშში 7 გოლი გაიტანა და ორი შედეგიანი პასი მიითვალა.

(მესამე გვერდიდან)

ისე, რომ ის სახელისუფლო სტრუქტურები, რაზეც სახელმწიფო დგას, ხალხის თვალში ფასდაკარგულია და, ცხადია, მათი იმედი აღარავის აქვს.

დარჩა ერთადერთი – ეკონომიკა და ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა, რამაც შეიძლება ადამიანებს ერთად ყოფნის მოტივაცია შეუქმნას, მაგრამ უკვე აღარავის სჯერა მთავრობის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეკონომიკა დუღს და გადმოდუღს. ეკონომიკური ზრდა მალე ევროპაში საუკეთესო იქნება, ახლა კი, ამ მხრივ მსოფლიოს სახელმწიფოთა ოცეულში შევდივართო, – პრემიერ-მინისტრმა დაახლოებით ასე „გაგვახარა". რეალურად კი ყვეგვყავდა, მაშინვე ცალ-ცალკე გარბოდნენ ქართლი და კახეთი, იმერეთი და სამეგრელო, აფხაზეთი და სხვებიც, დიდები თუ პატარები. ქართლში, მაგალითად, კინაღამ ცალკე სახელმწიფოებად იქცნენ ქსნისა და არაგვის საერისთაოები.

**აი, ამ მიმართულებით მიჰყავს ქვეყანა ნაც-ქოცურ ტანდემს და მათი დადგმული პოლიტიკური წარმოდგენები ისეთ შთაბეჭდილებებს უქმნიან, ნაწილობრივ უკვე უცხოელთა მიერ ზომბირებულ მოსახლეობას თითქოს ჩვენი სასიცოცხლო პრობლემა ის არის, ერთი ვიღაც პატიმარი ჭამს თუ შიმშილობს.**

**3) იმდროინდელმა ხელისუფლებამ, ახალგორის რაიონი, რომელიც სეპარატისტული ე.წ. სამხრეთ ოსეთის" შემადგენლობაში არ იყო, ჯერ სეპარატისტული რეგიონის ცენტრად აქცია და მერე ძალით „შეტენა" ე.წ. სამხრეთ ოსეთს.**

**4) სააკაშვილის პრეზიდენტობისას ხელისუფლება გულდაგულ ეცადა ომის პროვოცირებას რუსეთთან – ჯერ ირაკლი ოქრუაშვილის ხელით, რომელიც „გვპირდებოდა" ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო და ერთი ასეულით მოინდომა ცხინვალის განთავისუფლება, რასაც დატყვევებული ქართული ასეულის სამარცხვინო დაჩოქება მოჰყვა 2008 წლის აგვისტოში, ღამით ფართომასშტაბიანი სამხედრო ავანტიურა წამოიწყო ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" („შიდა ქართლში") კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად და ოთხ დღეში (თუ ხუთში!) სრული კაპიტულაცია გამოაცხადა და რუსეთს მორალურ-პოლიტიკური საფუძველი შეუქმნა ორი სეპატარისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობისათვის.**

# საქართველოს ერთიანობის ხელყოფა არავის ეპატიება!



# სააკაშვილის გვერდით, სულ მცირე, 20 დამნაშავე უნდა იჯდეს!

ლაფერი ისე სწრაფად ძვირდება, გუშინ რომ პური და ყველი ვიყიდეთ, არავითარი გარანტია არ გვაქვს იმისა, რომ დღეს იმ ფასად იმის ნახევარს მაინც ვიყიდით!..

საქართველოსა თუ მსოფლიოს ისტორიას ვინც იცნობს, ეცოდინება, რომ სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრება მხოლოდ მტრის შემოსევებსა და ომებში მარცხებს როდი უკავშირდებოდა. სახელმწიფოებში სეპარატისტული განწყობები მაშინ აღმოცენდებოდა და ძლიერდებოდა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა, ავტორიტეტსა და პატივისცემას კარგავდა, რასაც, ცხადია, ეკონომიკური სიდუხჭირეც მოსდევდა. სეპარატიზმის ისტორიული საფუძვლები ყველა ერსა და სახელმწიფოშია, რაც ძირითადად ეთნოფსიქიკის თავისებურებებს უკავშირდება. ასე იყო საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, ესპანეთში, გერმანიაში და ყველგან... გერმანია რომ გერმანიაა, სადაც კოლექტივიზმის განცდა და შეგნება ყველასთვის შეიძლება სანიმუშო იყოს, მეცხრამეტე საუკუნეში შვიდ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად იყო დაშლილი, ვიდრე რკინის კანცლერის ოტო ბისმარკის მტკიცე ხელმა მათი გაერთიანება არ შეძლო. განა ასე არ იყო საქართველოშიც? როგორც კი ცენტრალური ხელისუფლება ისეთი ბრიყვი მმართველების (მეფეების!) ხელში მოხვდებოდა, როგორებიც, სამწუხაროდ, ბევრი

**ციხის კამერაში სურს სასჯელის მოხდა თუ კანარის კუნძულებზე.**

არცერთი ბრალდება არ გაჟღერებულა ამ ცხრა წლის განმავლობაში სამშობლოს ღალატის ფაქტზე, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე განხორციელდა.

ახლა მე ჩამოვთვლი იმ მძიმე დანაშაულებს, რაც მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ახლანდელი ხელისუფლება ამ დანაშაულს ისე მალავს, როგორც ძაღლი თავის განავალს:

**1) საქართველოს ეკონომიკის მართვა მიანდეს იმ კაცს, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: „უნდა გაიყიდოს ყველაფერი, სინდისის გარდა!" (ყველაფრის გამყიდველს სინდისი ვინ მისცა, ნეტავი, რომ გაყიდოს?). იმ „გენიოსი" ეკონომისტის ლოზუნგი ისე მიიღო იმდროინდელმა ხელისუფლებამ, როგორც კომუნისტებმა მარქსისტული – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"**

**დაიწყო კიდეც ყველაფრის გაყიდვა, რომელიც არც ახლა დამთავრებულა!**

**2) ხელისუფლებამ სვანეთის დალის ხეობას, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა და იქიდან მისი დამცველი ქართველები ჯერ განაიარაღა, მერე მათი მეთაური დამნაშავედ გამოაცხადა და ხეობა უბრძოლველად ჩააბარა სეპარატისტებს.**

**5) ნაცბანდის მმართველობისას ქუჩაში დახვრიტეს საქართველოს უზადო პატრიოტი, ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გურამ შარაძე და მისი გვამი რამდენიმე საათის განმავლობაში ქუჩაში დატოვეს ხალხის დასაშინებლად, მერე კი ამ საქმის გამოძიებამ ისეთი შედეგი დადო, რომლისაც არ სჯერა ჭკუათამყოფელ საქართველოს;**

**6) 2005 წლის თებერვალში კატის კნუტივით მოკლეს საქართველოს იმდროინდელი პრემიერმინისტრი და მას ზედ წააკლეს ერთი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი დამწყები პოლიტიკოსი ბიჭი და ამ საქმის გამოძიების შედეგი ერთობ სასაცილოა, მეტისმეტად სატირალი რომ არ იყოს!**

**7) ნაცხროვის ხელისუფლებამ საშინელი დარტყმა მიაყენა ქართულ კულტურასა და განათლებას: მსოფლიო დონის რეჟისორი ქვეყნიდან გააქციეს, ხოლო განათლების საქმე სანტექნიკოსს ჩააბარეს!**

ახლა კი ისტორიული ტრაგიკომიკური სპექტაკლი იდგმება ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოს საქმის სახით, სადაც ეროვნული უბედურების მომტანი მთავრობის ხელმძღვანელს პიჯაკების შეძენაში, მასაჟისტების მომსახურებასა თუ სუშის ჭამაში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვისთვის ასამართლებენ, იმის ნაცვლად, რომ ტარდებოდეს ქართული ნიურნბერგის პროცესი, სადაც სააკაშვილის გვერდით, სულ მცირე, ოცი დამნაშავე უნდა იჯდეს, რომლებსაც ყოფილ პრეზიდენტზე მეტი დანაშაული აქვთ ჩადენილი!

„დიდოსტატის მარჯვენაში" ზვიად სპასალარი ასე პასუხობს სეპარატისტული ფხოვის მთავრის ქალიშვილს თხოვნაზე – მე მაპატიე მამაჩემის დანაშაულიო, „საქართველოს ერთიანობის ხელყოფა არავის ეპატიება!" არც აპატია და თვალებიც დასთხარა სეპარატისტ მთავარს!

ჩვენ რა გვეშველება, ვინ დასთხრის თვალებს ქართული სახელმწიფოს მნგრეველებსა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების მოშლის მოწადინეთ?



**ზურაბ ცუცქირიძე**
**1.XII.21**

# აჭარის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა



**აჭარის უმაღლესმა საბჭომ ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის ბიუჯეტი 13 ხმით ერთი წინააღმდეგ დაამტკიცა. სხდომა „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატები არ ესწრებოდნენ. აჭარის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 39 800 000 ლარით გაიზარდა და 454 000 000 ლარს მიაღწია.**

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ბიუჯეტი ძირითადად საშემოსავლო გადასახადების რაოდენობის მატების შედეგად გაიზარდა.

**„რეგიონში იზრდება ეკონომიკა, იზრდება სამუშაო ადგილებისა და დასაქმებულთა რაოდენობა. აჭარის მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტია ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვა, განათლება, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი. ყველა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად იზრდება სტრუქტურების ბიუჯეტი. მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები ბათუმში ავარიულ სახლებში მცხოვრებთათვის საცხოვრებლების მშენებლობისთვის და ასევე ე.წ. ოცნების ქალაქში კორპუსების მშენებლობის მეორე ეტაპის დასაწყებად საჭირო თანხები",** – განაცხადა ფუტკარაძემ.

# საჩუქარი „დელტა ტექსტილისგან"



**თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები საქართველოში წარმოებული ზამთრისა და ზაფხულის საველე და ყოველდღიური სამუშაო უნიფორმებით არიან უზრუნველყოფილი.**

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შპს „დელტა ტექსტილი" უწყვეტ რეჟიმში ამარაგებს თავდაცვის ძალების სამხედრო ქვედანაყოფებს მაღალი ხარისხის ქართული პროდუქციით. ქართული ჯარის მომარაგების პროცესს პირადად გაეცნო საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე. მინისტრმა, მისმა მოადგილემ ზურაბ აზარაშვილმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა თავდაცვის ძალებში მიღებული უნიფორმები და სპორტული ტანსაცმელი დაათვალიერეს და განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

# სპეცავტოტექნიკა ოზურგეთიდან

**ოზურგეთში სპეციალური ავტოტექნიკის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო. სოფელ მერიაში აშენდება და მუშაობას დაიწყებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სხვა სპეცდანიშნულების ავტომობილებს დააკომპლექტებს.**



კომპანია „ბიელესი" პროექტში 10-მილიონიანი ინვესტიციის ჩადებას გეგმავს, რაც საწყის ეტაპზე 70, საბოლოოდ კი 250 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. კომპანია „ბიელესის" დამფუძნებელი და პარტნიორები გაერთიანებულ სამეფოში სპეცავტოტექნიკის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი ბრიტანელი ბიზნესმენები არიან. **„ეს არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტი, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდება. ახალი საინვესტიციო პროექტები ჩვენი 8-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ კუთხით ოზურგეთის მერია აქტიურად იმუშავებს შემდეგი წლების განმავლობაში",** – აღნიშნა ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).**

ჩვენი გაზეთის 15-16 დეკემბრის ნომრის პირველ გვერდზე დაიბეჭდა პოეტ დათო მაღრაძის ლექსი – „ისმაილი დამიძახეთ!“, რომელშიც ტექნიკური მიზეზით გაიპარა ხარვეზი (მე-13-14 სტრიქონებში). ამიტომ ლექსს განმეორებით გთავაზობთ. გაზეთი მკითხველს ბოდიშს უხდის ამ ხარვეზისთვის, და აქვე შეგახსენებთ, რომ იმავე ნომრის მე-3 გვერდზე გამოქვეყნებულია პოეტის ზრიად საყურადღებო ნააზრევი ჩვენს დღევანდელობაზე.

## დათო მაღრაძე



# ისმაილი დამიძახეთ!

— თუ დამიძახებთ ისმაილს, მოვალ,
სახელს აღვიქვამ, როგორც განაჩენს,
ეს არის ჩემი ღვთიური მოვალ-
ეობა, ასე სურდა მამაჩემს.
და რადგან ასე სურდა მამაჩემს,
მამის სურვილი უნდა გადარჩეს...
აღვიქვამ სახელს, როგორც განაჩენს,
მოგვიანებით გეტყვით დანარჩენს.

ჩემს შეყვარებულს ჰქვია Miss Smile,
აქვს გრძელი თმა და გრძელი ფეხები,
და როცა ვნებით ამბობს: — ისმაილ...
მის გახსნილ ბაგეს ბაგით ვეხები.
მაშ ასე, ჩემს ქალს ჰქვია Miss Smile,
მიღიმოდა და... დაიწყო ომი,
მას შემდეგ, როცა ისმის — ისმაილ!
ვცხადდები ჩემი ოფიცრის ფორმით.

ქუდს Barsalimo-ს წარწერა შვენის
და ეპოლეტებს ვარსკვლავი ზეცის,
მე მოვალ, რათა ჩემით და შენით
გადარჩეს, რასაც თაყვანი ვეცით.
ჩამოვარიგებ მაჯის Tissot-ებს,
— ისმაილ! — 9-დან უნდა ისმოდეს,
თუ აფრას გაშლით, შევძლებ ზღვისოდენს,
თუ ფრთა გაშალეთ, შევძლებ ცისოდენს.

დაგიბრუნდებით, როგორც ულისე...
თუმცა სახსარში გაცვდა მენისკი,
მე უიმბლდონის დიად ტურნირზე
ვიბრძოლებ თქვენი გადარჩენისთვის.
...როგორც მიეცა ათენს რაციო
და ზღვის ნაპირებს ვერცხლის ოლივი,
მსურს, სიტყვა ლექსად გადავაქციო
და მოგაწვდინოთ მაშველ რგოლივით...

# ყველაზე ჭკვიანები რომ გვეგონა...



**329 აეროკოსმოსური ინჟინრისა და 72 ნეიროქირურგის ტესტირების შედეგებმა აჩვენა, რომ ამ პროფესიების წარმომადგენლები სხვა ადამიანებზე ჭკვიანები არ არიან.**

კვლევის ფარგლებში ბრიტანელმა მეცნიერებმა ნეიროქირურგებსა და ინჟინრებს „ინტელექტის დიდი ბრიტანული ტესტიდან“ 12 დავალება შესთავაზეს. დავალებების შედეგად მეცნიერები მათ მეხსიერებას, რეაქციის სისწრაფეს, ყურადღებას და ემოციების აღქმას ამოწმებდნენ. კვლევის მონაწილეთა ტესტირების შედეგები მეცნიერებმა 18 000-ზე მეტი სხვა ბრიტანელის შედეგებს შეადარეს. როგორც აღმოჩნდა, საერთო ჯამში, აეროკოსმოსური ინჟინრებმა და ნეიროქირურგებმა დავალებებს თავი ისევე გაართვეს, როგორც დანარჩენმა ადამიანებმა.

**„კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებს სხვებზე ინტელექტუალური უპირატესობა არა აქვთ. ნეიროქირურგია და აეროკოსმოსური ინჟინერია კი იმიტომ შეირჩა, რომ ბრიტანელები, როდესაც სურთ, ვინმეს სამუშაოს ადვილი უწოდონ, ამბობენ, რომ „ეს ხომ არც რაკეტის მშენებლობაა და არც ნეიროქირურგიული ოპერაცია“,** — ამბობენ კვლევის ავტორები.



## საქართველოს პრეზიდენტი:

# კარგი ხელოვნებით ჩვენ დიალოგში შევდივართ სხვა ევროპულ ქვეყნებთან

**საქართველოს პრეზიდენტმა ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო მე-13 ფესტივალის „ფესტინოვა“ — 2021 ფრანგული პავილიონი გახსნა და მოწვეულ სტუმრებსა და გამოფენის ორგანიზატორებს სიტყვით მიმართა.**

პრეზიდენტმა ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა თანამედროვე ხელოვნების გამოფენის მოწყობისათვის და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, საქართველოში დღეს თანამედროვე ხელოვნება საკმარისად არ არის დაფასებული, რაც ძალიან უცნაურია ზდანევიჩების ქვეყანაში.

**„მათი როლი და ის წლები, როცა თბილისი თანამედროვე ხელოვნების ავანგარდში იდგა, ჩვენი ისტორიისა და ჩვენი ევროპულობისათვის ძალიან მნიშვნელოვანი წლებია.ამით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვიყავით ევროპელები სანამ მოგვივიდოდა ის, რაც მოგვივიდა. და მომდევნო 70 წელი ხელოვნების კუთხით სხვა მიმართულებაზე ვიყავით გადაყვანილი. ქვეყანაში ახალგაზრდობა ქართულ ავანგარდიზმს კარგად არ იცნობს და არც საზღვარგარეთ არაა გატანილი ისე, როგორც საჭიროა, როგორც ჩვენი ევროპულობის დიდი სიმბოლო და ნიშანი.**

**თანამედროვე ხელოვნებას მეტი ყურადღება სჭირდება, რადგან ეს ჩვენი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. რასაკვირველია, ხელოვნებაში მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია თანამედროვე ხელოვნება ჩვენი აწმყოსათვის და მომავალი თაობებისათვის, რადგან ამით ჩვენ დიალოგში შევდივართ სხვა ევროპულ ქვეყნებთან და რეგიონის ქვეყნებთან. ეს არის თბილისის დანიშნულება და ეს ფუნქცია თბილისმა უნდა დაიბრუნოს. ქალაქში ბევრი თანამედროვე გალერეაა და მათ მხარდაჭერა სჭირდებათ, და მე მზად ვარ, პრეზიდენტის ფუნქციიდან გამომდინარე, მხარდაჭერა გავუწიო მათ, დავუთმოთ სასახლე და ვიყოთ იქ, სადაც ჩვენი დასწრება საჭირო იქნება. მგონია, რომ უნდა აღდგეს თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა „თბილისი არც ფეარი“, რომელიც ძალიან საინტერესო წამოწყება იყო და რომელმაც საქართველო თანამედროვე ხელოვნების რუკაზე მონიშნა, ეს საკმაოდ წარმატებული საწყისი პროცესი იყო და უფრო მასშტაბური ხასიათით უნდა აღდგეს“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. გამოფენის გახსნას ორბელიანების სასახლეში ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის სპორტისა და ახლგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, „არტვილა გარიყულას“ წარმომადგენლები: **ყარამან ქუთათელაძე და დავით კოროშინაძე,საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლები. როგორც მინისტრმა გამოფენის გახსნისას აღნიშნა, „ფესტინოვა“ სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება და სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ფესტივალის მხარდაჭერას. „არტ ვილა გარიყულა“ უკვე 20 წელიწადია თანამედროვე ხელოვნების ფესტივალზე 20 ქვეყანაზე მეტს მასპინძლობს. ფესტივალს წინ უძღვის 100-წლოვანი ავანგარდული ტრადიცია, რომლის გაჩენაც თბილისში ძმები ზდანევიჩების მოღვაწეობას უკავშირდება.**

# ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს ქალი უხელმძღვანელებს

**პირველად ისტორიაში, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს ქალი, ნასაუს ოლქის დეტექტიური განყოფილების უფროსი კიჩანტ სიუელი უხელმძღვანელებს. სიუელის დანიშვნა განიხილება, როგორც ნიუ-იორკის ახლად არჩეული მერის ერიკ ადამსის ერთ-ერთი საკვანძო გადაწყვეტილება, რომელიც მუშაობას 1 იანვარს შეუდგება და ახლა თავის ადმინისტრაციას აყალიბებს.**



ნასაუს პოლიციაში მუშაობის 23 წლის განმავლობაში, აფროამერიკელი სიუელი, რომელიც ქუინსის რაიონში გაიზარდა, ნარკოტიკების კონტროლსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიების განყოფილებებში მუშაობდა. **2020 წლის სექტემბერში ის დააწინაურეს და დეტექტივების განყოფილების უფროსად დანიშნეს. ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში დაახლოებით 35000 პოლიციელი მუშაობს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0957; ევრო - 3.4873;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1034;
100 რუბლი - 4.1942; თურქული ლირა - 0.2105;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8226;
1000 სომხური დრამი - 6.4519.

**ამინდი 17 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე | +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე | +11 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge